ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2016 წელი, 23 თებერვალი, №3 (6416)

უკანელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი

ადამიანები ბუნებას ემსგავსებიან და ბუნება — ადამიანებს, როდესაც ხალხი მშვიდდება, ბუნებაც მშვიდდება და პირიქით — ილია მეორე

ადამიანი უფალს თუ დაუახლოვდება დამშვიდდება, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგების დროს ბრძანა.

პატრიარქმა ადამიანისა და ბუნების მსგავსებაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ხშირია, როდესაც ადამიანი ისევე ღელავს, როგორც ბუნება. მისივე თქმით, ადამიანის დამშვიდებისთვის საჭიროა გულწრფელი ლოცვა.

„ჩვენთან არს ღმერთი — ეს სიტყვები ბიბლიიდანაა და ებრაულად გამოითქმება, როგორც ემანუელ. როდესაც ჩვენ ამ სიტყვებს ვამბობთ, ღრმად უნდა ჩავწვდეთ სიტყვების შინაარსს. თუ ჩვენთან არს ღმერთი, ყველაფერი დამშვიდდება.

ეს ქვეყანა და ადამიანები მღელვარე ზღვას ჰგავს. ადამიანები ბუნებას ემსგავსებიან და ბუნება ადამიანებს ემსგავსება. ეს საყურადღებოა. როდესაც ხალხი მშვიდდება, ბუნებაც მშვიდდება და პირიქით“, — განაცხადა ქადაგებისას პატრიარქმა.

ილია მეორემ ქადაგებისას აღნიშნა, რომ დღევანდელ ადამიანს უპირველეს ყოვლისა უიმედობა ახასიათებს. ამის გამოსასწორებლად კი უფალს უნდა შესთხოვოს ადამიანმა, რომ გახსნას მათი გულები და გონება, რათა ჭეშმარიტება შეიმეცნონ.

„რა ახასიათებს დღევანდელ ადამიანს? — უპირველეს ყოვლისა უიმედობა. იმედი არ აქვს ხვალინდელი დღისა და თავისი თავის. არ იცის, რა მოელის ხვალ, ამიტომ, როცა ვლოცულობთ, უფალს უნდა ვთხოვოთ, გახსნას ჩვენი გული და გონება, რათა ჭეშმარიტება ვცნათ.

უფალი ბრძანებს „მე ვარ გზა ჭეშმარიტებისკენ. თუ ამას გავიგებთ, ჩვენ გადავრჩებით“, — განაცხადა უწმინდესმა.

პატრიარქმა ადამიანი იმ ნავს შეადარა, რომელშიც ბიბლიის მიხედვით მაცხოვარი მოციქულებთან ერთად მღელვარე ზღვაში იმყოფებოდა. მისივე თქმით, თუ ადამიანი უფალს დაუახლოვდება, დამშვიდდება, ისევე, როგორც დამშვიდდა სახარების მიხედვით მღელვარე ზღვა.

„ინტერპრესნიუსი“

გიორგი კვირიკაშვილი — ის, რომ ჩვენ გვქონდა მცურავი გაცვლითი კურსი, ძალიან დადებითია

ის, რომ ჩვენ გვქონდა მცურავი გაცვლითი კურსი, ეს ძალიან დადებითია, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, თუ როგორ შეაფასებდა ბოლო 2 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის პოლიტიკას.

რაც შეეხება ინტერვენციების პოლიტიკას, გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ამასთან დაკავშირებით მას ჰქონდა გარკვეული კრიტიკული შენიშვნები. „მე მგონი ეს კომპლექსური საკითხია. ძირითადში ის, რომ ჩვენ გვქონდა მცურავი კურსი, ეს არის ძალიან დადებითი. რაც შეეხება თვითონ ინტერვენციების პოლიტიკას, მე ამასთან დაკავშირებით მქონდა გარკვეული კრიტიკული შენიშვნები. არ მგონია, რომ ამ ფორმატში შესაძლებელი იყოს ამის განხილვა, თუმცა

ის, რომ რეფინანსირების სესხები გაიცემოდა და გარკვეულწილად საბანკო სექტორს უბრუნდებოდა ის რესურსი, რომელიც სახაზინო ვალდებულებების სახით იყო ამოღებული საბანკო რესურსიდან, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილ კობა გვენეტაძეს, პრემიერ-მინისტრმა ამ ეტაპზე აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარისგან თავი შეიკავა, ვინაიდან აღნიშნა, რომ ის განხილვებში არ არის ჩართული. გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ კანდიდატის შერჩევისას მთავარი კრიტერიუმები უნდა იყოს გამოცდილება, პროფესიონალიზმი და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

ამბები. ge

ნოდარ ხადური — ლარის საკმაოდ სერიოზულ გამყარებას ველოდებით

საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური საშუალო ვადიან პერიოდში ლარის კურსის „საკმაოდ სერიოზულად“ გამყარებას ელოდება. როგორც ნოდარ ხადურმა გაზეთ „რეზონანსთან“ ინტერვიუში განაცხადა, მეზობელ ქვეყნებში სტაბილურობა შეინიშნება, რაც კურსის დასტაბილურების იმედს იძლევა.

„მე მინდა გითხრათ, რომ კურსის მკვეთრ ცვლილებას დევალვაციის კუთხით არ ველოდებით.

ჩვენს მეზობელ ქვეყნებში სტაბილურობა შეიმჩნევა. უკვე იმედი გვაქვს, რომ კურსი დასტაბილურდება და საშუალოვადიან პერიოდში საკმაოდ სერიოზულ გამყარებას ველოდებით. ეს არ არის მხოლოდ სიტყვები, ნამდვილად ასე იქნება და ლარი აუცილებლად გამყარდება“, — განაცხადა ხადურმა.

მინისტრმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ გაცვლით კურსზე ბიუჯეტი ზეწოლას არ ახდენს და კურსის ცვალებადობა პრაქტიკულად სრულად საგარეო ფაქტორებითაა გამოწვეული.

„ხედავთ, თუ რა რთული ეკონომიკური მდგომარეობაა ჩვენს გარეშემო. ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიც კი უძლურნი აღმოჩნდნენ გაცვლითი კურსის ცვალებადობის წინააღმდეგ“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

„ინტერპრესნიუსი“

ეს ყველაფერი ქმნის ისეთ გარემოს, სადაც შესაძლებელია ღვინის ტურიზმის კიდევ უფრო განვითარება

ტურიზმი ერთერთი სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში, რომლის განვითარებაც უკანასკნელ წლებში პრიორიტეტული მიმართულება გახდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით.

თუ გავითვალისწინებთ იმ რესურსებს რაც საქართველოს გააჩნია ტურისტული თვალსაზრისით. ანუ,საქართველოს, როგორც ტურიზმისათვის საუკეთესო დანიშნულების ქვეყანას, ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია მნახველთათვის. თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კავკასიონის ქედი, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, მდინარეები და ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, კურორტები და მინერალური წყლები, ისტორიული ძეგლები, ქალაქები და დასახლებები, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა და განთქმული ქართული სამზარეულო — ქმნის საქართველოს ტურისტულ ქვეყნად.

საქართველოს, თავისი ბუნებრივი რესურსებით, შეუძლია კონკურენცია გაუწიოს საფრანგეთს, ჩინეთს, ესპანეთს, იტალიას. . ტურიზმის ისეთი სახეობები, როგორიცაა ეკო ტური, ფოტო ტური, რეკრეაციული ტური,ექსტრემალური ტური, სალაშქრო ტური, მთის ველო ტური, კულტურული ტური, უფრო მრავალფეროვანს გახდის საქართველოს მიერ შეთავაზებულ ტურისტულ პროდუქტს. საქართველოს უდიდესი ტურისტული პოტენციალი რომ გააჩნია ეს უცხო და ახალი არავისთვის არაა. თუმცა ეს უძველესი ქვეყანა,ტურისტებისთვის ჯერ კიდევ ძალიან ახალი და აღმოუჩენელია. ტურიზმი ხომ სწორედ ის სფეროა, სადაც წარმატება სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა ტურისტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამდენად, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ექსტრემალური, არასასურველი პირობები პირდაპირ აისახება იმ სფეროში, რომელიც ადამიანის გაჯანსაღებას, დასვენებას, რეკრეაციას ემსახურება. ასევე, საერთაშორისო კვლევებით, საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც დასვენება ყველაზე ძვირია. თუმცა, შესაძლებელია ამ ნაკლოვანებების დაძლევა თუ ყურადღება მიექცევა შემდეგ ფაქტორებს: დაბალი ფასები, განვითარებული სატრანსპორტო საშუალებები, უკეთ მომზადებული მომსახურე პერსონალი

არაერთხელ დაგვიწერია კახეთის რეგიონის , კერძოდ ყვარლის ტურისტული პოტენციალის და მისი განვითარების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

კახეთის რეგიონი ერთერთი გამორჩეული ადგილია საქართველოში, სადაც შესაძლებელია მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულებების განვითარება. გარდა იმისა, რომ კახეთი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა, იგი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. აქ განთავსებულია საქართველოში არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების 2/3, მათ შორისაა: ძველი შუამთის (V-VII სს.) და ახალი შუამთის (XVI ს.) მონასტრები, იყალთოს სამონასტრო კომპლექსი (XI-XII სს.), ბახტრიონის ციხე-გალავანი (XII ს.), ალავერდის ანსამბლი (XI ს.), მატნის ცხრაკარის მონასტერი (V ს.), გრემის მთავარანგელოზის ტაძარი (1565 წ.), ნეკრესის სამონასტრო ანსამბლი (IV-IX სს.), დავით გარეჯის სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი (VI ს.), უჯარმის ციხე-ქალაქი (VI ს), ბოდბის გამოქვაბულთა კომპლექსი (XI-XIII სს.), წმ. ნინოს სამონასტრო კომპლექსი, ხირსის მონასტერი, თამარის ციხე (შუა საუკუნეები), სიღნაღის ციხე (შუა საუკუნეები), ხორნაბუჯის ციხე (ადრეული შუა საუკუნეები) და სხვ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვითარდება სხვადასხვა თანამედროვე ტურისტული მიმართულებები. მათ შორის ახალი და პერსპექტიული მიმართულებაა დღეს ღვინის ტურები.

„ხოლო ქვეყანა ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა... ხოლო კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი. “...

გაგრძელება მე-8 გვ. -ზე

რა შემთხვევაში შეიძლება დაკარგოთ მიწის ნაკვეთი? — საფრთხეები კანონპროექტში

„კანონპროექტის ამ ფორმით მიღება კერძო მესაკუთრეებს პრობლემებს შეუქმნის. შესაძლოა, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელიც დღეს საჯარო რეესტრში გატარებული არ არის, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდეს. გარდა ამისა, ეს უარყოფით გავლენას იქონიებს საინვესტიციო გარემოზეც, რადგან არსებობს რისკი, რომ სახელმწიფო განკარგავს მიწის ნაკვეთებს, რომელზეც კერძო პირებს გააჩნიათ მოთხოვნის უფლება. მიწის ყოფილ მფლობელსა და ახალ მესაკუთრეს შორის დაპირისპირება მიწის ეფექტიან გამოყენებას ხელს შეუშლის“, — ამბობს „პოლიტკომერსანტთან“ საუბარში „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ იურისტი თეა ზაქარაშვილი.

შეგახსენებთ, რომ მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე პარლამენტს განსახილველად უკვე გაეგზავნა. აღნიშნული კანონპროექტი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შესახებ უფლებრივი და საკადასტრო მონაცემების შექმნის უზრუნველყოფას და ამ გზით უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“ მიაჩნიათ, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინიციატივა კერძო საკუთრების ხელყოფის, მიწის ბაზრის განვითარებისა და საინვესტიციო გარემოს გაუარესების თვალსაზრისით მნიშვნელოვან საფრთხეებს შეიცავს.

კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებად დაირეგისტრირებს ყველა იმ მიწის ნაკვეთს, რომელზეც საჯარო რეესტრის მონაცემებით სხვა პირის უფლება არ დგინდება, თუმცა, წლების განმავლობაში განკარგავს. ამავდროულად, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ უფლებამოსილი საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის განკარგვისა და სარგებლობაში გადაცემის აკრძალვა მოითხოვოს. მსგავსი შეზღუდვის დაწესების შემთხვევაში, მათ, ვისაც სახელმწიფოსგან საკუთრი მიწის გამოთხოვა და დარეგისტრირება სურთ, ამისთვის 1 წლიანი ვადა ექნებათ. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, ქონების ეროვნული სააგენტო უფლებამოსილი იქნება სახელმწიფოს სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები განკარგოს ან გაასხვისოს.

რა საფრთხეებს შეიცავს კანონპროექტის ამ ფორმით მიღება და რა დილემის წინაშე აღმოჩნდებიან რიგითი მოქალაქეები? — „პოლიტკომერსანტი“ ამასთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ იურისტს თეა ზაქარაშვილს ესაუბრა.

„საინტერესოა, რომ 2015 წლის 29 ოქტომბრის იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა „მიწის რეგისტრაციისა და პილოტურ არეალებში საკადასტრო მონაცემების სრულყოფის სტრატეგია“ დაამტკიცა, რომელიც მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისა და მოგვარების ერთიან ხედვას ითვალისწინებს. პილოტური პროექტის ფარგლებში მოსახლეობისთვის მიწის აზომვითი და სარეგისტრაციო სამუშაოები უფასოდ უნდა ჩატარდეს. ახალი კანონპროექტი კი, კერძო პირების ინტერესების შეზღუდვის მნიშვნელოვან საფრთხეებს შეიცავს. ამდენად, გაუგებარია სახელმწიფოს მიერ ორი არსებითად განსხვავებული მიდგომის მხარდაჭერა რატომ მოხდა“, — ამბოს ზაქარაშვილი.

მისივე თქმით, დღესდღეობით საქართველოს ურბანული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 80% რეგისტრირებული არ არის.

„ხშირია შემთხვევები, როდესაც საჯარო რეესტრი რეგისტრირებული უძრავი ქონების ადგილმდებარეობის დადგენას ვერ ახერხებს. რადგან 90-იან წლებში მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი სათანადო საკადასტრო ინფორმაციის გარეშე მნიშვნელოვანი ხარვეზებით დარეგისტრირდა. სამწუხაროდ შემოთავაზებული კანონპროექტი ამგვარი მესაკუთრეების დაცვის მექანიზმს არ ითვალისწინებს გარდა ამისა, კანონპროექტის ფარგლებში საინფორმაციო კამპანია გათვალისწინებული არ არის. ამდენად, მოქალაქეები, რომლებსაც დაურეგისტრირებელი მიწები აქვთ, რომელსაც ფლობენ, ამუშავებენ და სხვა, არ იციან, რომ ერთ დღესაც შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ეს მიწა მათი აღარ არის. სახელმწიფოს მხრიდან ეს სწორი მიდგომა არ არის. პირიქით უნდა ყოფილიყო, ჯერ მოქალაქეებს უნდა დაერეგისტრირებინათ, ხოლო იმ მიწას, რომელსაც მესაკუთრე არ გამოუჩნდებოდა, საკუთრივ სახელმწიფო გაიფორმებდა“. — ამბობს ზაქარაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ იმ სტრატეგიით უნდა იხელმძღვანელოს, რომელიც შარშან იუსტიციის მინისტრმა დაამტკიცა.

როგორც ეკონომიკის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვლმა განაცხადა, „თუ საჯარო რეესტრის შესახებ კანონპროექტში არის ისეთი ჩანაწერი, რომელმაც კერძო მესაკუთრე დააფიქრა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ეს ჩანაწერი უნდა გავასწოროთ და ამას აუცილებლად გავაკეთებთ“. თუმცა, პარლამენტიდან კანონპროექტის გამოთხოვნის ალბათობა აშკარად გამორიცხა.

„პოლიტკომერსანტი“

„ის, რაც ჩვენ მოვისმინეთ, არ გულისხმობს, რომ ვინმეს მიწა წაერთმევა“ — მინისტრის განმარტება მიწების რეგისტრირების საკითხზე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია მიიჩნევს, რომ მიწების დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, მოსახლეობასთან უფრო მეტი კომუნიკაციაა საჭირო.

„თავისუფალი დემოკრატების» ინიციატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს მიწების დარეგისტრირების პროგრამის გამარტივებას, დანელიამ ჟურნალისტებს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან რთულად არ არის საქმე. «ყოველ შემთხვევაში, ის ვერსია, რაც ჩვენ მოვისმინეთ და ეკონომიკური გუნდის შიგნით რაზეც გვქონდა განხილვა, არ გულისხმობს, რომ ვინმეს მიწა წაერთმევა. აქ საუბარია, რომ მოწესრიგდეს და პირიქით, იუსტიცი

ისა და ეკონომიკის სამინისტროები დაეხმარონ მოსახლეობას მიწების რეგისტრაციაში. კარგი იქნება, რომ უფრო საჯარო გახდეს ყველა ის ინფორმაცია, რაც სხვადასხვა კომპონენტებით არის გათვალისწინებული. მიწა, ყველა ქვეყნისთვის და ერისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ფაქიზი საკითხია. მარტივად ამ თემის დარეგულირება არ ხდება. პირადად მე თუ მკითხავთ, მე ვფიქრობ, რომ ამას რა დროც დასჭირდება, იმდენი დრო უნდა მოვახმაროთ, მთავარია, ყველაფერი სწორად გავაკეთოთ», — განაცხადა ოთარ დანელიამ.

კითხვაზე, უნდა მოხდეს თუ არა კომუნიკაცია მოსახლეობასთან, მინისტრმა განმარტა, რომ „დიახ“, ვინაიდან დღესდღეობით ცალმხრივი კომუნიკაცია და თემით სპეკულირება ხდება. „ცალმხრივი კომუნიკაციის შედეგად თემით სპეკულირება ხდება. საარჩევნო წელია და ყველა ცდილობს, ყველაფერი გააკეთოს, რათა დივიდენდები დაიწეროს, პოლიტიკური თუ ნებისმიერი სხვა სახის. იქ არის ხელშეწყობის პროგრამები, რაც ითვალისწინებს ამ ადამიანების დახმარებას, რომ დაირეგისტრირონ მიწები, უფრო მეტი კომუნიკაციაა გასანევი ამ თემასთან დაკავშირებით», — განაცხადა ოთარ დანელიამ.

როგორ გავწმინდოთ ვერცხლის ნაკეთობები სახლის პირობებში

ვერცხლის ნაკეთობების გასუფთავების ყველაზე გავრცელებული და იოლი ფორმა ნიშადურის სპირტით გასუფთავებაა. ნიშადურის 10%—იან სპირტში 10-15 წუთით ვაწყობთ ვერცხლის ნივთებს და ჩვეულებრივად ვრეცხავთ და ვაშრობთ. ვერცხლის გასასუფთავებლად ლიმონის მჟავასაც იყენებენ. ამისათვის საჭიროა ერთ ლიტრიან ქილაში ჩავასხათ ნახევარი ლიტრი წყალი და ასი გრამი ლიმონის მჟავა. ამ სითხეში ვათავსებთ დაბინძურებულ ვერცხლს და ვადუღებთ დაბალ ცეცხლზე 20-30 წუთს. შემდეგ ამოვიღებთ ვერცხლს და ჩვეულებრივი წყლით გავრეცხავთ. ამბობენ, კოკა-კოლაში თუ ჩაყრით ვერცხლის სამკაულებს და 3-4 წუთით ადუღებთ, სიბინძურე ადვილად მოშორდებაო, ვერცხლს... ასევე ამბობენ, ტუჩსაცხით ვერცხლის დაფარვის შემდეგ კბილის ჯაგრისით გახეხვაც ეფექტურიაო. თუმცა არასდროს არ მიცდია ვერცხლის ამგვარად გასუფთავება. ვერცხლის გასასუფთავებლად მარილსაც იყენებენ. 200 მლ წყალში თუ ერთ ჩაის კოვზ მარილს ჩავყრით და ვერცხლს შიგნით მოვათავსებთ რამდენიმე საათით, შემდეგ 4-5 წუთით დუღილიც საკმარისია იმისათვის, რომ ვერცხლის ნაკეთობას სისუფთავე და ბზინვარება დაუბრუნდეს.

მილოცვები

ქალბატონ ქეთევან ჭიპაშვილს!

მთელი გულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ პირველ რიგში ჯანმრთელობას და წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

ნინო ბაწილაშვილი, ალმატის საჯარო სკოლის მასწავლებელი

ქალბატონ მარინე ბაწილაშვილს!

ალმატის საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ მარინე ბაწილაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

პატივისცემით ნინო ბაწილაშვილი

ქალბატონ ეთერ ტურაშვილს!

ალმატის საჯარო სკოლის მასწავლებელს ქალბატონ ეთერ ტურაშვილს ვულოცავ საიუბილეო თარიღს, პედაგოგიურ საქმიანობაში წარმატებებს და ულევ სიხარულს.

ნინო ბაწილაშვილი

დიმიტრი იოსებაშვილს!

ბატონო დიტო, გილოცავ დაბადების დღეს!

გისურვებ ჯანმრთელობას, მრავალი წლის სიცოცხლეს, გამარჯვებას, გახარებას, გამრავლებას თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

პატივისცემით ზაქრო ბუთიაშვილი

შტრიხები დიმიტრი იოსებაშვილის პორტრეტისთვის

საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ღირსებით შემკულ დარდიმანდს, გამორჩეულს ლაზათით, რაფინირებული ინტელექტით, ენციკლოპედიური განათლებით, რომლის დევიზია: „ვერ მაანონებ კარგ ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაშია!“ პოლიციის თადარიგის პოლკოვნიკს დიტო იოსებაშვილს საიუბილეო მრგვალ თარიღს ვულოცავ და ამ დევიზით წარმოთქმულ ორიგინალური სადღეგრძელოს გახმოვანებით: საჯაროდ მინდა ვთქვა:

სადაც არ უნდა იყოს, მუხლმოყრილი ეამბორება ქრისტეს ჯვარს, სახით შეტრიალდება ყვარლის მთების მიმართულებით, ღმერთს შეავედრებს ყვარელს და ყვარლელებს, ლექსით გამოვეხმაურე და ვუწოდე.

„დიტოს დარდი მანდული“

წყალი რომ მქონდეს და ხმელი პური,
გაშლილი მქონდეს გზის პირას სუფრა,
დე, ღმერთმა ნუ ქნას, ალალი გულით,
არ მივიწვიო, გამვლელს არ ვუთხრა:

მობრძანდი, ძმაო და ნუ ხარ უბრად,
დალიე ღვინო, დალოცე სუფრა,
ღმერთს სადილისთვის მადლობა ვუთხრათ,
წყალობა ჩვენ და დიდება უფალს!

დაე, ღმერთმა ქნას სიყვარულში ყველამ მაჯობოს,
იმ სიყვარულში, მოძღვარმა რომ გიძღვნა სამშობლო!
შემინდოს ყველამ სიყვარულით და ნურვინ მიწყენს,
საქართველოზე სიყვარულს თუ ყვარლიდან ვიწყებ!

ყვარლის მთებიდან გომბორის მთით გადავლილ გორში,
ამაყი სულით შევიხედავ სოსელის ქოხში,
გორის ციხიდან გადავხედავ ქართლის სანახებს,
პატივს მივაგებ ძვლებით ჩაკირულ გმირთა სამარხებს!

ლიხნს იქით გავალ, გადავლახავ ენგურის ტალღებს,
დავცემ ყიჟინას, დავაფეთებ მდინარე შავლეგს.
ლაგამს მოვზიდავ, გავაქვავებ გაქაფულს ყალყზე,
ხუთჯვრიან დროშას ზეაღვმართავ ტუაფსეს თავზე!

დაე, ღმერთმა ქნას, დავუბრუნდე ჩემს ლამაზ ყვარელს,
გადავეხვიო ყველა გამვლელს და ყველა ყვარლელს!
შვილების სუფრას შემოვუჯდე, ბავშვებს ვეანგლო,
ასოცი წლისა, ცერულის გასმით ცეკვით ვეახლო!

ზაქრო ბუთიაშვილი

რა სამუშაოები უნდა ჩავატაროთ თებერვალში — ბაღში და ბოსტანში

● თებერვალი ზამთრის მესამე თვეა, თოვლით და სიცივით, თუმცა დღის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად იზრდება, მზე უფრო თბილი და ნათელი ხდება, შესაბამისად ბუნება და ჩვენი ბაღიც გასაღვიძებლად ემზადება.

● მეურნე ადამიანი, საგაზაფხულო სამუშაოების შემსუბუქებისთვის სწორედ ამ თვეში იწყებს აქტიურ ზრუნვას. თებერვლის თბილ დღეებში, ყურადღებით უნდა დავათვალიეროთ ხეხილის ხეები, უნდა მოვაშოროთ შემორჩენილი ფოთლები და ნაყოფიხშირად სწორედ მათში იზამთრებს ნაყოფის სიდამპლე, რამაც შეიძლება დაავადოს ნარგავები და შეამციროს მოსავლიანობა.

● ასევე ყურადღებით დაათვალიერეთ ხეხილის ვარჯი, ქერქში ხშირად მავნებლები დებენ კვერცხებს, მათი მოშორება აუცილებელია რადგან, დათბობისთანავე მატლები გამოიჩეკება და ტოტებს, ყლორტებსა და კვირტებს დააზიანებს.

● მნიშვნელოვანია მუხლუხო მატლების მოცილება, რომლებიც ხეებზე იზამთრებენ.

● თუ ტემპერატურული რეჟიმი დღე-ღამის განმავლობაში მკვეთრად იცვლება, ხეები კირხსნარით შეათეთრეთ (10 ლიტრ წყალზე 2-3 კილოგრამი გადამწვარი კირი).

● ამავე მიზეზით, ხეებზე ზოგჯერ ქერქი სკდება მაღლა ინევს (ვარჯს შორდება) და ქერქის ქვეშ დარჩენილი სიცარიელე მავნებელთა ბუდედ იქცევა. ამ შემთხვევაში ქერქი შეგიძლიათ წვრილი ლურსმნით მიაჭედოთ და იგი გაზაფხულზე ისევ შეეზრდება ხეს, ან მოაცილეთ და ბაღის მალამო წაუსვით, რომ ჭრილობა არ დარჩეს.

● თებერვალში, თუკი თბილი ამინდები დადგა, აუცილებელია, დავიწყოთ ხეხილის და კენკროვანი კულტურების გასხვლაც, კენკროვან კულტურებს გადაბერებული, დაავადებული და სუსტი ტოტები უნდა მოვაცილოთ, რომ მსხმოიარობა უხვი იყოს.

● მნიშვნელოვანია აგრეთვე უხვი ნალექის პირობებში, ნარგავებში არ დადგეს თოვლის ნადნობი ან წვიმის წყლები. ასეთ შემთხვევაში აუცილებელად ჩაატარეთ სადრენაჟო ღონისძიებები, რომ მცენარეთა ფესვთა სისტემა ჭარბმა ტენმა არ დააზიანოს.

გაზაფხულზე ბევრი საქმე გექნებათ, ამიტომ გარკვეული სამუშაოები სჯობს ეხლა მოილიოთ.

წარმატებებს და მოსავლიან წელიწადს გისურვებთ!

ილია და ქართული თეატრი

დასაწყისი იხ. №1-2, 2016

ძალიან ნიშანდობლივია ილიას წერილი 1881 წელს ი. ოქრომჭედლიშვილისადმი მიწერილი: „ხომ იცი, თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს-რა! ეგ ადგილია, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს“.

ილია თავგამოდებით იცავდა მუდმივი დასის შექმნის იდეას და აღასრულა კიდეც 1881 წელს, რადგან მისთვის ქართული თეატრი ეროვნული თვითშეგნების ერთ — ერთი ტაძარი იყო.

ილიამ ქართულ თეატრს ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბრძოლის ამოცანა დააკისრა. ი. გრიშაშვილის თქმით, სცენა უნდა გადაქცეულიყო ეროვნული კულტურისა და თვითმყოფობის მგზნებარე ტრიბუნად... ილიამ, აკაკისთან ერთად, ქართულ თეატრს ბრწყინვალე შემოქმედებითი ტრადიციები შეუქმნა, განავითარა მისი რეალისტური გზა და სცენა ხალხს დაუახლოვა (გრიშაშვილი 1952: 299).

ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ თეატრის საფუძველი დრამატურგიაა, ამიტომ იგი სერიოზულად ფიქრობდა სარეპერტუარო პოლიტიკის შესახებ: „თეატრი მართლა თეატრი უნდა იყოს, ე. ი. კერძო პირთა მასხრად ასაგდები კი არა, არამედ საზოგადო ჭირისა და ლხინის თვალწინ წამომაყენებელი. ამისთვის საჭიროა რიგიანი რეპერტუარი“ (შინაური მიმოხილვა, 1881 წელი) ან „ჩვენი თეატრის ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ სათეატრო თხზულებანი არა გვაქვს, რომ ჩვენი საკუთარი, ჩვენ მიერ ქმნილი, ჩვენის ცხოვრებიდამ ამოღებული თხზულებანი არა გვაქვს“ (შალუტაშვილი 1986: 87). მაშინდელ რეპერტუარში დიდი ადგილი ფარსებსა და ვოდევილებს ეჭირა, ამიტომ იგი მოითხოვდა რეპერტუარის გადახედვასა და დახვეწას: ,,საჭიროა სულ სხვა რეპერტუარი იქონიოს ჩვენმა თეატრმა, სულ სხვა საფუძველი და მიმართულება მიეცეს ეხლანდელს მის მოქმედებას“ (ჭავჭავაძე 1991: 243).

აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტორი: ჯერ ერთი, ილიამ გაილაშქრა უიდეო, უხამსი პიესების თარგმნისა და ქართული ენის დამახინჯების წინააღმდეგ და, მეორეც, მიზნად დაისახა ეროვნული დრამატურგიისთვის შეეწყო ხელი. მან გაზეთ „დროების“ სახელით კონკურსიც კი გამოაცხადა საუკეთესო ქართულ პიესაზე, „ივერიაში“ გააძლიერა პიესების ბეჭდვა, სულ რაღაც 2-3 წლის განმავლობაში დაბეჭდა ა. ცაგარელის „მათიკო“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ა. ყაზბეგის „ქეთევან წამებული“, რ. ერისთავის „ადვოკატები“.

ძალიან საინტერესოა მ. საფაროვას ერთი ცნობა: „იმხანად ქართული პიესა ისე არ გაჭაჭანდებოდა, რომ ილიას არ წაეკითხა, არ შეესწორებინა, როგორც ენობრივად, ისე შინაარსის მხრივ“ (კიკნაძე 1975: 30).

ილია ბევრს საუბრობდა მსახიობის შინაგანი და გარეგნული გარდასახვის შესახებ: „არტისტი დიდი მცოდნე უნდა იყოს ადამიანის შიგნითის ბუნებისა, იმიტომ რომ ყოველ სიტყვაში მარტო სული და გული ადამიანისა მეტყველებს და ყოველს მოძრაობას სულისას და გულისას თავის კილო აქვს, თავის ჰანგი, თავისი მუსიკა“, ამით, ფაქტობრივად, იგი მსახიობისგან როლის დასრულებულ ანალიზს მოითხოვდა (შდრ. ჯიბლაძე 1966: 624).

გარდა ამისა, ილია კატეგორიულად ითხოვდა პროფესიონალიზმსა და არა მხოლოდ ნიჭიერებას: ,,მარტო ბუნებითი ნიჭი საკმაო არ არის... მეტი ცოდნა, გამოცდილება, ხელოვნება, გონების განვითარება, ხელმძღვანელობა უნდა, არტისტს თუ არ უნახავს, ჭიგნებიდან მაინც უნდა ჰქონდეს შესწავლილი სხვა ცხოვრება, ჩვეულება... თითქოს არტისტი მარტორაღაც ზეგარდამო შთაგონებით ყველაფერის თამაშობას შეძლებსო, ეს, რასაკვირველია, დიდი შეცდომაა (ჭავჭავაძე 1991:246).

ასევე,ილია იყო თეატრალური რეცენზენტი და კრიტიკოსი. მან მრავალი ქართველი მსახიობის სცენური პორტრეტი შექმნა (გაბუნია, საფაროვა, აბაშიძე, ყიფიანი, გამყრელიძე, სვიმონიძე...) და ამით შთამომავლობას შემოუნახა მათი სახელები.



„ილიას ღრმა რწმენით, თეატრალური კრიტიკოსი უნდა იყოს გულწრფელი, სინდისიერი, უშიშარი, განვითარებულ-განათლებული ხელოვნების, განსაკუთრებით მეცნიერების იმ დარგის კარგი მცოდნე, რომელსაც ესთეტიკას უწოდებენ“ (ვართაგავა 1958: 44).

ილიას აზრით, რეცენზენტს უნდა შეეძლოს სპექტაკლის სწორი შეფასება, ავ-კარგის დანახვა და არა წრეგადასული ქება ან ძაგება. „ტყუილად ქებულმა კაცმაც ისე უნდა იწყინოს, როგორც ტყუილად დაწუნებულმაცა“ — წერდა პოეტი. იგი, როგორც თეატრალური კრიტიკოსი, მისთვის ჩვეული სიღრმითა და პრინციპულობით განიხილავდა თეატრის განვითარების ძირითადს პრობლემებს. მას კარგად ესმოდა შემოქმედი ადამიანის მგრძნობიარე ბუნებისა, ამის გამო შეფარული იუმორით შენიშნავს: „ყველაფერს შეგინდობთ ავტორი, არტისტი, ოღონდ ავტორობას, არტისტობას კი ნუ დაუწუნებთ“ (ჭავჭავაძე 1991: 293)

თუმცა მისი კალამი სათქმელს მაინც შეუფერადებლად და მთელი სიმართლით ამბობდა. თავის რეცენზიებში სასცენო ხელოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით ავ-კარგით წარმოაჩინა მსახიობთა შემოქმედება. როგორც თეატრის კრიტიკოსს შეუმჩნეველი არ რჩებოდა მსახიობთა წვრილმანი ნაკლიც კი.

ილია ილაშქრებს სიყალბის წინააღმდეგ და მოითხოვს სცენურ სიმართლეს, მეტ დამაჯერებლობას. მაგ., იმავე სვიმონიძეზე წერს: „მეტისმეტად დიდი ქშენა იცის სცენაზე, მითომდა გრძნობათა აფორიაქების ნიშნად, ვერაფერი ნიშანია და მეტისმეტად წამხდენია მაყურებლის გუნებისა“ (ჭავჭავაძე 1991: 518). საოცრად ფაქიზი და სულის ნიუანსების წვდომით მიგნებული დაკვირვებები აქვს მსახიობთა თამაშის შესახებ. აწყურელს მოუწონა ნათამაშევი და ასე შეაქო: „იქ, სადაც სიტყვა სწყდება და სრულ შთაბეჭდილებას არ გიხატავთ, სახის მოძრაობა, გამომეტყველება გეუბნებათ დანარჩენს“ (ჭავჭავაძე 1991: 261). ძლიერი ემოცია ყოველთვის დიდი იშვიათობას წარმოადგენდა, თუმცა ილია ზომიერების მომხრე იყო, რადგან დიდი გრძნობის გამოხატვას აქვს თავისი კრიტერიუმი — დიდი თავდაჭერა. საგანგებო აქცენტებით აღნიშნავს, რომ: ,,გაბუნია-ცაგარელმა ერთგვარის ხელოვნებით და ნიჭიერებით გაატარა თავისი როლი, არსად არც გადაუმეტებია, არც არა დაუკლია რა“ (ჭავჭავაძე 1991: 291). გამყრელიძის მეტყველების კულტურით მოხიბლული კი სიამოვნებით მოგვითხრობს; ,,მის ლაპარაკში თითქმის ყოველი სიტყვა თავის ადგილას ისეთის შესაფერის კილოთი იყო თქმული, როგორც ეკუთვნოდა, აუჩქარებლივ, დინჯად, მშვიდობიანად. მოლაპარაკემ ისთი სიმხურვალე და მნიშვნელობა აძლია სიტყვას, რომ არა ერთსა და ორს მოჰგვარა ცრემლი“ (ჭავჭავაძე 1991: 557).

ილიას წერილებში სამდურავი გაისმის რეჟისორების მიმართაც. მართალია, ამ დროისათვის არ არის ძლიერი რეჟისორული სკოლა, ზოგადად, მაგრამ მისი კალამი მაინც მისწვდა მათ და ტიპაჟის 86 შერჩევისას მეტი სიფრთხილისაკენ მოუწოდა: „დიდი შეცდომაა რეჟისორისაგან, რომ ცოტად თუ ბევრად სადრამო როლს აკისრებენ ხოლმე იმისთანა არტისტს, რომელსაც საზოგადოებამ თვალი შეაჩვია, როგორც კომიკსა“ (ჭავჭავაძე 1991: 287).

რაზეც უნდა წერდეს, ილიას უმთავრესი ამოსავალი მაინც ეთიკა, კაცადკაცობა და ღირსების გამძაფრებული შეგრძნება რჩება. მსახიობი მხოლოდ კარგად მოთამაშე კი არა, საინტერესო და მაღალზნეობრივი პიროვნება, დიდი მოქალაქე უნდა იყოს, ილიაც ისეთ თეატრზე ოცნებობს, რომელსაც შეუძლია ადამიანში ყველაზე ადამიანურის გამოღვიძება, პიროვნებად სრულქმნა. ერთგან ასე წერს; „ოღონდ ადამიანურმა ღირსებამ დუღაბსავით შეჰკრას ჩვენი სცენა და მაგარს საფუძველზედ დაამყაროს“ (ჭავჭავაძე 1991: 410). შესაძლოა, ძალზე საჭირო და აუცილებელი იყოს რომელიმე მსახიობი თეატრისთვის, სპექტაკლისა და როლისათვის, მაგრამ, თუ ის ზნეობროვი და კეთილშობილი ადამიანი არ იქნა, სჯობს, თეატრმა უარი თქვას მასზე: „ნიჭიერი არტისტი დიდი რამ არის სცენისთვის, მაგრამ, თუ სხვაფრივ ყოვლად აუტანელია, ისევ უმისობა სჯობია“ (ჭავჭავაძე 1991: 409). ასეთი შეუვალი და უკომპრომისო იყო ილია, ერის ზნეობის სადარაჯოზე მდგომი, რომლის ყველა ეროვნული წამოწყება კეთილშობილების ნიშნით გახლდათ დაღდასმული და აღბეჭდილი.

ილიას, როგორც ქართული თეატრის პატრონისა და გულშემატკივრის ღვაწლს თავის დროზე იკვლევდნენ იპ. ვართაგავა, გ. ჯიბლაძე, ი. გრიშაშვილი, ა. მახარაძე, ა. ხახანაშვილი, ს. ხუნდაძე, დ. გამეზარდაშვილი, კ. მეძველია, ა. გაჩეჩილაძე, მ. დუდუჩავა, ს. ხუციშვილი, ბ. ნიკოლაიშვილი, ა. თავზარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ვ. კიკნაძე, რ. შამელაშვილი, ნ. გურაბანიძე, ლ. ჩხარტიშვილი და სხვები. ჩვენ მათს განზოგადებასა და მთლიანობაში წარმოდგენას შევეცადეთ, რათა კიდევ ერთხელ მიგვედევნებინა თვალი ილიას თეატრალური მოღვაწეობის, მისი სამსახიობო თუ რეჟისორული ძიებანის, მისი თეატრალური მრწამსისა და ესთეტიკისათვის, რომ წარმოგვეჩინა ის, თუ როგორ უყვარდა ქარველ ადამიანს თეატრი, რომელიც ყოველთვის უკავშირდებოდა ყველაზე ეროვნულს, მშვენიერსა და ამაღლებულს.

ავტორი **საბა მეტრეველი**

(იბეჭდება შემოკლებით)

შეხვედრა წარსულთან — კოლორიტი ადამიანების მოღვაწეობა არ უნდა დავივიწყოთ

შეწყვეტილი სიმღერა



დასაწყისი იხ. #1-2, 2016

ჰამლეტ გონაშვილი დაიბადა 1928 წლის 23 ივნისს, სოფელ ანაგაში. დაუჯერებელია, მაგრამ როგორც დედამისი ჰყვებოდა ,ის აკვანშივე ამჟღავნებდა სიმღერის სიყვარულს: „ ბავშვი ორი თვისა იქნებოდა, აკვანთან ვიჯექი, აქეთ-იქით ვარწევდი და ნანას ვუმღეროდი. ვამჩნევდი, რომ მას უხაროდა სიმღერის გაგონება, ცმუკვას იწყებდა, თვალებს ფართოდ ახელდა და ცდილობდა მოეძებნა თუ საიდან მოდიოდა ხმა. პირველი სიმღერა, რომელიც ჰამლეტს ვასწავლე, „ ირემო მთასა მყვირალო“ იყო და ჩვენ ხშირად ერთად ვმღეროდით“. როგორც ჩანს, გონაშვილებს გენეტიკურად მოსდგამთ სიმღერის ნიჭი, თუმცა ჰამლეტი ამბობდა ხოლმე, დედაჩემის ნიჭი უფრო დამყვაო.

ჰამლეტის დედასთან დამოკიდებულება ცალკე სასაუბრო თემაა... ეს იყო ფაქიზი, ნამდვილი დედაშვილური სიყვარული.

მამამისი დიმიტრი გონაშვილი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი იყო, თაობების აღმზრდელი. ჰამლეტი ამბობდა, რომ მამამისი იყო ივანე ჯავახიშვილის ნასტუდენტარი. დიმიტრი გონაშვილი 1937 წლამდე სიღნაღში მასწავლებლობდა, შემდეგ კი ოჯახით გადავიდა ცხინვალში და იქაურ ინსტიტუტში განაგრძო პედაგოგიურ მოღვაწეობა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ჰამლეტის მონაყოლიდან რამდენადაც მახსოვს, იგი მესამე კლასამდე სწავლობდა სიღნაღში, ხოლო მესამე კლასიდან უკვე ცხინვალში, სადაც პარალელურად მუსიკალურ სკოლაში ვიოლინოზე დაკვრას ეუფლებოდა.

1941წელს როდესაც ომი დაიწყო, გაჭირდა ცხოვრება. ჰამლეტი დედასთან და დასთან ჯულიასთან ერთად მშობლიურ სოფელ ანაგაში დაბრუნდა და იქაურ სკოლაში განაგრძო სწავლა.1950 წლიდან ჰამლეტი უკვე თბილისში ჩამოდის და ტურისტულ ბაზაში იწყებს მუშაობას ექსკურსია-მძღოლად. ეს იყო მისი სტიქია, მან შესანიშნავად იცოდა საქართველოს ისტორია, იყო ბრწყინვალე ორატორი, კარგად იცოდა რუსული ენა რამეთუ დედა რუსული ენის მასწავლებელი ჰყავდა, თავისუფლად შეეძლო ყველა თემაზე საუბარი და მისთვის ძნელი არ იყო, რომ ყოფილიყო ექსკურსიამძღოლი.

ჰამლეტი ტურისტებს უყვებოდა ძალზედ წვრილმან ამბებსაც კი საქართველოს ისტორიიდან. ერთხელ სერიოზული უსიამოვნებაც შეემთხვა, როდესაც ტურისტები წაიყვანა კახეთში, ალავერდის მოსანახულებლად. მათ მოუთხრო ასეთი ისტორია: მე-19 საუკუნის დასაწყისში კახეთის ერთ-ერთ სოფელში ორი მთვრალი რუსი ჯარისკაცი მიადგა ერთ-ერთ გლეხის სახლს, სადაც ძალით შევიდნენ. იპოვეს ღვინით სავსე ქვევრები. ღვინო დალიეს, იმდენად უგონოდ შეიქმნენ, რომ ქვევრები წაბილწეს და მოხუც ცოლ-ქმარს უბრძანეს, შებმულიყვნენ კევრში, რომლებსაც იქვე კალოზე გაეშალათ მომკილი ყანის თავთავები და ლეწავდნენ. რუსები დასხდნენ კევრზე და სიცილით და გინებით უბრძანეს გაენიათ ხარ-კამეჩის მაგივრობა. ამ ამბის მოყოლის შემდეგ საერთო უხერხულობა შეიქმნა ტურისტებში. მოგეხსენებათ, მაშინ, ძირითადად, მხოლოდ რუსები ჩამოდიოდნენ საქართველოში. იქ არაფერი უთხრეს, მაგრამ მეორე დღესვე დაიბარეს სამსახურში და ძალიან მრავალმნიშვნელოვნად გააფრთხილეს, რომ ასეთი „ მხიარული“ თავშესაქცევი ამბები მეტად აღარ გაიმეოროო. შემდგომში ჰამლეტი სიცილით ამბობდა: არც მიფიქრია, თუ მათ ეწყინებოდათ, რადგან ცარისტული რუსეთის დროებაზე ვუყვებოდი. ეხლა ხომ დიდ საბჭოეთის ძმურ ოჯახში ვცხოვრობთ, მაგრამ ვიღაც-ვიღაცეებისთვის მეფობენ დრონიც და მეფენიცო.

სანამ ჰამლეტი ანსამბლ „რუსთავის“ წევრი გახდებოდა, მას უკვე მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება საქართველოს სახელმწიფო ანსამბლში 1967 წელს. ხოლო, რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა 1981 წელს ანსამბლ“ რუსთავში“ მოღვაწეობის დროს.

ერთხელ, ჩვეულებრივ, გასტროლებზე ვიმყოფებოდით რუსეთში, ქალაქ სვერდლოვში, ვცხოვრობდით არცთუ კომფორტულ სასტუმროში. როგორც ყოველთვის, მე და ჰამლეტი ერთ ნომერში ვცხოვრობდით. გარეთ ნამდვილი საშინელი რუსული ზამთარი იყო. ჩემი და ჰამლეტის საწოლები გვერდი-გვერდ იდგა. ერთმანეთს ხუმრობით შევეხმიანეთ და რაღაცეებზე ვისაუბრეთ. მოულოდნელად მეუბნება: ყმაწვილო, არ გინდა ამ დილაადრიანად გავმხიარულდეთ? დღეს მაინც უქმე გვაქვს, არაფერს არ ვაკეთებთო. დიმიტრიჩ, რანაირად აპირებთ გამხიარულებას? არსებობს(გართობის) მრავალი ფორმა, დავძინე მე. ისიც ხუმრობის ხასიათზე დგება და მეუბნება: ყმაწვილო, მოდი დღეს“, მრავალი“ ფორმა გვერდზე გადავდოთ და მამა-პაპური, ჩვენებური ფორმა ავირჩიოთო! მაგრამ მე როგორ მოვიქცე მეთქი, ვკითხე. როგორ მოიქცე და აბრძანდები ლოგინიდან, ჩაიცვამ თბილად, გარეთ საშინელი ყინვაა, კახეთის თბილი ზამთარი არ გეგონოს, ჩახვალ დაბლა, მონახავ სასურსათო მაღაზიას და ამოიტან სუფრისათვის ყველა საჭირო „ატრიბუტიკას“ და განსაკუთრებით, რუსული ნივრიანი სალა არ დაგავიწყდესო. დიმიტრიჩ, სასმელს რომელს ინებებთ? მეც ასეთივე ტონით გავაგრძელე საუბარი. ყმაწვილო არ შეწუხდე, მე უკვე ვიზრუნეო, მიპასუხა. ცოტა ხნის შემდეგ დავბრუნდი, მოვიტანე ყველაფერი, რაც საჭირო იყო. თვითონ მაგიდა გაემზადებინა, ჩემოდნიდან ამოეწყო მეუღლის მიერ გამოტანებული მშვენიერი ჩურჩხელები, ნიგოზი, კაკლის მურაბაც. ყველაზე მეტად მომწონდა ჰამლეტის მეუღლის ქალბატონ ლამარა ცინცაბაძის მიერ სპეციალურად ჰამლეტისათვის დამზადებული, სხვადასხვა მწვანილებით შეზავებული, არაჩვეულებრივი სუნის და გემოს არამწარე აჯიკა. შემოვუჯექით სუფრას. ჰამლეტმა გადაყო ხელი სადღაც, ეგრეთ წოდებული კომოდის უკან და ამოაძვრინა ძველებური ლიტრიანი ბოთლით ჩვენებური ჭაჭა. სასმელს კი ველოდებოდი, მაგრამ ჭაჭას ნამდვილად არა. თურმე ჩემთვის სიურპრიზის მოწყობა ჩაეფიქრებინა. უსაზღვროდ გამახარა ამ ბოთლის დანახვამ, რადგანაც უშველებელ რუსეთის ცივ ზამთარში განსაკუთრებულ ელფერს იძენდა მამა-პაპურ მიწაზე მოყვანილი ერთი წვეთი სასმელიც კი. ჰამლეტს უცნაური თვისება ჰქონდა: მოვივლიდით სამთვიან გასტროლებს ამ უკიდეგანო ქვეყნიერების სივრცეში და როდესაც ვუახლოვდებოდით საქართველოს, თვითმფრინავით იყო თუ მატარებლით, საიდანღაც გააჩენდა ხოლმე ერთ ბოთლ ჭაჭას ან ღვინოს, რა თქმა უნდა თავისი სახლიდან წამოღებულს, ჩამოგვივლიდა ყველას ბოთლით ხელში, ძალიან პატარა ჭიქით და წარმოსთქვამდა რაიმე სიმბოლურ სადღეგრძელოს. ასევე სიმბოლურად ცოტა-ცოტას ყველას დაგვალევინებდა, ხოლო როდესაც მატარებლით ვუახლოვდებოდით მცხეთას და დაინახავდა ჯვრის მონასტერს, აღტაცებას ვერ მალავდა. ერთხელ ვეუბნები: ჩემო დიმიტრიჩ, რამ შეგანახვინა სასმელი ამდენ ხანს, რომ ერთხელ მაინც სულმა არ წაგძლია მეთქი? ყმაწვილო „ განა ასე უფრო ლამაზი არ არის, დიდი ხნის მონატრებულ სამშობლოს შენს კარ-მიდამოში მოწეული სასმელით რომ შეხვდები?“.

სიმართლე გითხრათ, სასმელები ჩვენც მიგვქონდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, რამდენიმე დღეში „ ორთქლდებოდა“. ჰამლეტს კი ჰყოფნიდა ნებისყოფა , ბოლომდე გაეძლო ცდუნებისთვის და შემოენახა. როგორც კი ბოთლი დავინახე, ვეკითხები: დიმიტრიჩ, რა არის ეს? „ რა არის და ამას წინად რომ ინატრე, ოხ, ერთი ჩვენებური ჭაჭა დამალევინო, აი ზუსტად ის არის!“. მე სიხარულისგან წამოვხტი და ვაკოცე: დიმიტრიჩ, ნამდვილი გაჭირვების ტალკვესი ხარ-მეთქი. „ ოღონდ იცოდე, ბევრი არ მოგივიდეს!“ — მაფრთხილებს ჰამლეტი. მაგრამ დიმიტრიჩ, შენ რამდენადაც ვიცი, ამას ბოლოსთვის ინახავდი? მან ირონიულად გამიღიმა და მიპასუხა: „ ყმაწვილო, იმისთვის ცალკე მაქვს, ძალიანაც რომ ეძებო ვერსად მიაგნებ“. შემდგომში როგორც გამომიტყდა ის ოქროს ბოთლი მიუბარებია ჩვენი გარდირობის პასუხისმგებელ ქალბატონისთვის და თანაც გაუფრთხილებია: მეც რომ გთხოვო, არ მომცე, სანამ თბილისში არ ჩავალთ, მითუმეტეს სხვას, განსაკუთრებით თუ ვინმე მოვა ჩემი ოთახიდან. იქ მეტად „ საეჭვო“ ხალხი ცხოვრობსო“. ერთი სიტყვით, ჰამლეტმა დადგა ჭიქები, ლოთი კაცის ჟესტიკულაციით, ხელით ჰაერში შეათამაშა ასანთი, დაწვენილი მიუდგა ჭიქას გვერდით და ნელ-ნელა დაიწყო ჩამოსხმა. ვხედავდი, როგორ მადის აღმძვრელად იკეთებდა ჯაჭვს არაყი ჭიქაში. შევუდექით ქეიფს და თამადობაც თვითონ იკისრა. ბევრი ვისაუბრეთ, როგორც ყოველთვის. მიყვებოდა საინტერესო ამბებს, მოიგონა ცხინვალში გატარებული სკოლის დროინდელი წლები. მის კლასში უსწავლია ერთ ბიჭს, რომელიც თურმე გასაოცარი ნიჭიერებით გამოირჩეოდა და თვითონაც ძალიან კარგად სწავლობდა. კლასში ეს ორი მოწაფე გამოირჩეოდა ყველაზე მეტად, როგორც ჩანს, ეს ზოგიერთებში შურს იწვევდა. თანაკლასელმა ბიჭებმა გადაწყვიტეს, რომ ჩვენთვის ყოჩური ჩხუბი მოეწყოთ. ჯერ მე მკითხეს: „ ეჩხუბები თუ არა მას?“ მე რა თქმა უნდა ვაჟკაცობაზე თავს ვდებდი ყმაწვილური მიამიტობით და უკან არ დავიხიე. იმასაც ასე ჰკითხეს. მანაც უპასუხა: „ ვისაც გინდათ იმას ვეჩხუბებითო!“ როგორც შევამჩნიე, ის უფრო გაღიზიანებული იყო ბიჭების მოქმედებით. შემდეგ სკოლიდან გავედით მოფარებულ ადგილას, მოგვაქციეს წრეში და ელოდებიან, როდის დავარტყამთ ერთმანეთს. გამაკვირვა ამ ბიჭის ვაჟკაცურმა საქციელმა. „ ჰამლეტ! რატომ უნდა ვეჩხუბოთ ჩვენ ერთმანეთს? ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის არაფერი დაგვიშავებია. მან გამომიწოდა ხელი და მეც ძალაუნებურად ჩამოვართვი , მხარზე ხელი გადამხვია და მეუბნება: „ ჰამლეტ ჩვენ ხომ ამათი მონები არა ვართ, რომ ამათ სურვილზე შევასრულოთ ყველაფერი, რასაც კი მოისურვებენ?“ ჩვენ ხელი გადავხვიეთ ერთმანეთს მხარზე და დინჯად გამოვედით მათი წრიდან. უკნიდან შეძახილები გვესმოდა: „ აი, თქვე ლაჩრებო, ჩხუბი არ შეგიძლიათ!“ ჩვენ რა თქმა უნდა ყურადღება აღარ მიგვიქცევია და დავრჩით მეგობრებად. კი მაგრამ, რატომ მოინადინეს ბიჭებმა მაინცდამაინც თქვენი ჩხუბი მეთქი? — ვკითხე. „ ალბათ იმიტომ, რომ კარგად ვსწავლობდით. აინტერესებდათ ჩხუბში რომელი უფრო მაგარი ვიქნებოდით“. ჰამლეტ, რა გვარი იყო ის ბიჭი? ჰამლეტს იმდენ ხანს გაუგრძელდა საუბარი, რომ მე რამდენჯერმე მომიხდა კიდევ შეკითხვის გამეორება. ჰამლეტ, მითხარი ბოლოს და ბოლოს, რა გვარი იყო ის ბიჭი? ლომაური იყო გვარად მიპასუხა ჰამლეტმა. მე რატომღაც მეცნო ეს გვარი. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გავუმეორე კითხვა. „ ჰამლეტ, რაც წამოხვედით ცხინვალიდან ის ბიჭი სადმე შეგხვედრია?“ არაო, მიპასუხა. და სხვათა შორის, მიკვირს, ძალიან ნიჭიერი ბიჭი იყო და არსად მი სი გვარი არ ფიგურირებსო. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დანანებით ვეუბნები, ეჰ, ჩემო დიმიტრიჩ, შენ ვეღარც ვერასოდეს შეხვდებოდი მას. ის კიდევ უფრო დაინტერესდა და მეკითხება, რატომ? შენ რა იცი?-ის ცოცხალი აღარ არის, ჩემო ჰამლეტ. — როგორ თუ აღარ არის, შენ საიდან იცი? — კი, ჩემო დიმიტრიჩ, მე ვიცი მისი ცხოვრების ტრაგიკული ისტორია. ჰამლეტმა, რომელიც ყოველთვის სიდინჯით გამოირჩეოდა, მოუთმენლობა გამოამჟღავნა და ჩამეძია, თუ რა დაემართა მას.

ჩემი ძვირფასო მკითხველო, როდესაც ჰამლეტმა ახსენა ფრიდონ ლომაურის სახელი და გვარი, ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა ყრმობის დროინდელი მეტად საინტერესო ტრაგიკული ისტორია, ერთი მეტად არაჩვეულებრივი ულამაზესი ქალბატონისა.

ჩემი თაობის ხალხს კარგად ახსოვს ყვარლის პირველი საშუალო სკოლის გზაზე მიმავალი, მაღალი, გამხდარი, შავებში ჩაცმული, ულამაზესი მოხუცი ქალბატონი ნუცა მათიკაშვილი, ან როგორც ყვარელში ვეძახით“ ნუცა მასწავლებელი“. გახსოვთ ალბათ, როგორი დინჯი და ფრთხილი ნაბიჯებით იცოდა სიარული. მისგან იგრძნობოდა ნამდვილი ქართველი ქალის კდემამოსილება, გამოირჩეოდა დახვეწილი არისტოკრატიული მანერებით. ყოველივე ამის მიღმა იმალებოდა დიდი სევდა და მწუხარება. თუმცა ის საზოგადოდ ცდილობდა არ შეემჩნია. ნუცა მასწავლებელი გახლდათ მრავალი თაობის აღმზრდელი, რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი. ჩვენ გვერდი-გვერდ ვცხოვრობდით და, ბუნებრივია, ვმეზობლობდით კიდეც. მით უმეტეს, მოგვარეებიც გახლდით. ის ჩემი მასწავლებელი იყო, პატივს ვცემდი და მიყვარდა. თუმცა, როგორც მის მოწაფეს, მაინც და მაინც თავი არაფრით გამომიჩენია .ის უკვე დიდი ხანი იყო, რაც მარტო ცხოვრობდა. მე მაშინ ვიქნებოდი 11-12 წლის ბიჭი და შეძლებისდაგვარად ხშირად ვეხმარებოდი. მიყვარდა მასთან ყოფნა, კიდევ უფრო იმიტომ, რომ ძალიან ბევრ საინტერესო ამბებს მიყვებოდა, შემეძლო მთელი დღე მესმინა საინტერესო ამბებისთვის, განსაკუთრებით თუ ეს შეეხებოდა წარსულს.

ყვარელში ყველამ იცოდა, რომ მას შვილი ჰყავდა გარდაცვლილი, მაგრამ არავინ იცოდა, რა ვითარებაში. ვერც ვერავინ ბედავდა მასთან ამ თემაზე საუბარს. იმდენად მივეჩვიე მას, რომ ერთხელ შევბედე: — ნუცა მასწავლებელო, ვიცი თქვენი გულის დიდი ტკივილი, ძალიან გთხოვთ, იქნებ მომიყვეთ რაიმე თქვენი ვაჟიშვილის ცხოვრებიდან? ის ერთხანს გაჩერდა, მიწაზე ერთ ადგილს დაეშტერდა, ცოტა ხნის მერე შემომხედა და მითხრა. (თან თავზე ხელი გადამისვა): „ ჩემო ბიჭო, მე არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი, რადგანაც ასეთი ცნობისმოყვარე ხარ, კარგი, მე მოგიყვები შენ, მაგრამ გთხოვ, ყველასთან ნუ ილაპარაკებ!“ ვფიქრობ, იმიტომ არ უყვებოდა ადამიანებს, რომ არ უნდოდა თავისი საწუხრით სხვებიც შეეწუხებინა. ნუცა მათიკაშვილის მონაყოლიდან, იგი დაახლოებით 26-27 წლის ასაკში ცოლად გაჰყოლია ქართველი მწერლის ნიკო ლომაურის ძმის შვილს, პროფესიით ექიმს.(საუბარში მან მითხრა სახელი, მაგრამ სამწუხაროს აღარ მახსოვს). 1927-28 წლებში შესძენიათ შვილი, რომელსაც დაარქვეს პაპის სახელი(დედის მხრიდან) ფრიდონი. ქართველი ერისთვის ავადსახსენებელ 1937 წელს, რომელმაც მრავალი ქართველის სიცოცხლე შეიწირა, ვერც ფრიდონ მათიკაშვილის ოჯახი გადაურჩა. საქართველოს იმდროინდელ მთავრობაში ფრიდონ მათიკაშვილის ვაჟს, ე.ი ნუცა მასწავლებლის ძმას, ერთ-ერთი დიდი თანამდებობა ეკავა. ის იყო მიწათმოქმედების კომისარი. როგორც ნუცა მასწავლებელი მიყვებოდა, შალვა მათიკაშვილი და ლავრენტი ბერია კარგი მეგობრები იყვნენ, მაგრამ მათ შორის,

გაგრძელება მე-5 გვ.-ზე



დასაწყისი მე-4 გვ.-ზე

რაღაცის გამო მოხდა უთანხმოება, კერძოდ, ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ შალვა მათიკაშვილი ჩამოსულა ყვარელში, მას შემოუვლია ყვარლის მინდვრები, აინტერესებდა, თუ როგორ მიდიოდა კოლექტივიზაციის პროცესი და ნახა საშინელად გაჭირვებული ხალხი, მშიერი, გაღატაკებული, რამაც მასზედ მძიმედ იმოქმედა. თბილისში დაბრუნებისას პირველსავე ცენტრალურ კომიტეტის ბიუროს სხდომაზე გამოუთქვამს აზრი-ხომ არ სჯობია, დროებით შევაჩეროთ კოლექტივიზაციის პროცესი, რომ ხალხმა ცოტა ამოისუნთქოსო. ნუცა მასწავლებლის ვარაუდით ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი მისი განადგურებისა. 1937წელს საგაზეთო პუბლიკაციებით და სხვა საინფორმაციო საშუალებებით შექმნეს საზოგადოებრივი აზრი, რომ შალვა იყო სამშობლოს მოღალატე , დააპატიმრეს და დახვრიტეს. დახვრიტეს ნუცა მასწავლებლისა და შალვა მათიკაშვილის მეუღლეებიც. თავად ნუცა მასწავლებელი გადაასახლეს შორეულ აღმოსავლეთში, 15 წლიანი პატიმრობით. როდესაც ნუცა მასწავლებელი დააპატიმრეს, მისი ერთადერთი შვილი ფრიდონი 9 წლისა დარჩა სრულიად მარტო. ის თბილისის ქუჩებში დაეხეტებოდა და შიშით შინაურებიც კი არ იკარებდნენ, რომ მათაც მისი მშობლების ბედი არ გაეზიარებინათ. შემთხვევიდან შემთხვევამდე ვინმე ლუკმა-პურს თუ მიაწვდიდა. შემდეგ მოხვდა ქურდების წრეში და თურმე ასწავლიდნენ ქურდულ წესებს, ქურდობის ყველა წვრილმანს. ნუცა მასწავლებელი მიყვებოდა: „ როდესაც ის ჩემთან ჩამოვიდა სიცილით მეხუმრებოდა: დედა შენ უფრო გეცოდინება ვინ უფრო ფულიანი დადის აქ, ჯიბეებს გავუსუფთავებ, რადგანაც ქალაქში ყველაზე მეტი ნიჭი ჯიბიდან ფულის აწაპვნაში მე გამოვიჩინე და ქურდები დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენო!“ ფრიდონს ჰყავდა ბიძა მამის მხრიდან, რომელიც ცხოვრობდა ცხინვალში. როგორც გაუგია ბავშვის მდგომარეობა, დიდი ხნის შემდეგ თბილისის ერთ უბანში მიაგნო მას, თუმცა ქურდებმა არ დაანებეს. რა გაეწყობოდა, მან შექმნა ილუზია, რომ, თითქოს შეურიგდა ბედს და გაემგზავრა ცხინვალში. სინამდვილეში ბიძამისმა იცოდა ძმაშვილი სადაც ცხოვრობდა და ჩუმად ყარაულობდა. შეურჩია მომენტი, როდესაც ის ქუჩაში მარტო იყო, მოიტაცა ბავშვი და უვნებლად ჩაიყვანა ცხინვალში. მიიყვანა სკოლაში და მას მერე ფრიდონი ცხოვრობდა და იზრდებოდა ბიძამისთან, რომელიც ყოფილი სამხედრო იყო, ეს სწორედ ის მომენტი გახლავთ, როდესაც ჰამლეტ გონაშვილი და ფრიდონ ლომაური სწავლობდნენ ერთ კლასში. როდესაც დედამისი ნუცა მასწავლებელი ჰყვებოდა: ის ყოფილა უაღრესად ნიჭიერი, ხატავდა ძალიან კარგად და რაც მთავარია, მეათე კლასელმა ბიჭმა დაწერა სქელტანიანი, 500 გვერდიანი რომანი, სახელწოდებით „გმირთა თაობა“. და კიდევ ერთი წიგნი, უფრო მომცრო ფორმატის, რომლის სახელწოდებაც სამწუხაროდ მე აღარ მახსოვს. ეს ნაწერები და სხვა პირადი ნივთებიც, მიმობნეული ყოფილა მისი კლასის ამხანაგებთან. ნუცა მასწავლებლის ეს მონაყოლი მე ღრმად ჩამებეჭდა გონებაში და გადავწყვიტე მომეცემოდა თუ არა საშუალება, ფრიდონ ლომაურის ყველა ნივთი დამებრუნებინა დედამისისთვის. და მართლაც, ამის საშუალება მომეცა 1966 წლის გაზაფხულზე, როცა დავამთავრე თბილისის პირველი მუსიკალური სასწავლებელი. ერთ მშვენიერ კვირა დღეს , ისე რომ არავისთვის არაფერი არ მითქვამს, ჩავედი ცხინვალში. ნუცა მასწავლებლისგან ვიცოდი მისი ერთ-ერთი მეგობარი თანაკლასელი ქალის სახელი და გვარი, თუ არ მეშლება ნუნუ კარსელიშვილი. მე კითხვა-კითხვით მივაგენი მათ სახლს, შევხვდი ამ ქალბატონს, ავუხსენი ჩემი ვინაობა, რომ ვარ ყვარლიდან და ვარ ფრიდონ ლომაურის ნათესავი დედის მხრიდან. მას უსაზღვროდ გაუხარდა ჩემი გაცნობა. შემიპატიჟა სახლში, დაუკავშირდა ფრიდონ ლომაურის რამდენიმე თანაკლასელს. შესანიშნავი სუფრა გააწყვეს, და ძალიან თბილად და დიდი სიყვარულით მიმიღეს. მაშინ მე არ ვიცოდი, თუ გონაშვილი იყო ფრიდონ ლომაურის თანაკლასელი, რადგანაც ანსანბლი „რუსთავი“ ჯერ საერთოდ არ იყო შექმნილი. „რუსთავი“ შეიქმნა 1968 წელს, ხოლო რუსთავში ჰამლეტი გადმოვიდა 1969წელს. 1966 წელს ავდივართ კიბეებზე, პირველი სართული, მეორე სართული.... მე ნერვიულობისგან ხელიდან ჩამივარდა თავსაფარი. დავიხარე რომ ამელო და ბადრაგმა ჩაილაპარაკა: — ნუ სწუხხართ ქალბატონო , ეგ თქვენ აღარ დაგჭირდებათ!“. ჩვენ შეგვყარეს მოსაცდელში. ცოტა ხნის შემდეგ, გამოდის სამხედრო ფორმაში ჩაცმული კაცი და გვეუბნება შემოდითო. ჩვენ შევედით შიგნით, მივედით მაგიდასთან ახლოს, სავარძელში ზის ძალიან პირქუში შესახედაობის მელოტი კაცი. მან ხელი გაუწოდა იქვე მდგომ სამხედროს, რომელიც მასზე გაცილებით დაბალი ჩინის ჩანდა და უთხრა: „ მომეცით მათი საბუთები!“. მან მხედრული ჟესტით დაუწყო ქაღალდები ნინ და დაელოდა, თუ რას ეტყოდა საბოლოოდ. ამ პირქუშმა კაცმა, რომლის არც თანამდებობა ვიცოდი და არც გვარი, გადაფურცლა ჩვენი საბუთები, ცოტა ხნის შემდეგ შეიკრა შუბლი და ქვეშევრდომებს ეუბნება: „ თქვენ რატომ აურიეთ საბუთები? ეს ხალხი დასახვრეტთა სიაში კი არ უნდა შეგეტანათ, არამედ მათი განთავისუფლების ბრძანება არის მოსული“

გამოგვიყვანეს იმ კაბინეტიდან, ჩაგვსვეს მანქანაში მხოლოდ ორი პიროვნება, მე და ის ერთი პატიმარი ქალი, რომლის გვარი გახლდათ შვანგირაძე. დაგვაბრუნეს უკან. მოხდა ისე, რომ თურმე მათ არევიათ საბუთები და განთავისუფლების ნაცვლად კინაღამ დაგვხვრიტეს. შემდეგ გამოგვიცხადეს ჩვენ, რომ ვართ თავისუფლები, მხოლოდ იმ პირობით, რომ მე უფლება არ მქონდა დარჩენილი წლები გამეტარებინა საქართველოში. მომცეს არჩევანი, საქართველოს გარდა საბჭოთა კავშირის ნებისმიერი ადგილი. მე ავირჩიე მოსკოვთან ახლოს მდებარე ერთი პატარა სოფელი, იქ დავსახლდი და საბავშო ბაღში ვასწავლიდი რუსულ ენასა და ლიტერატურას.

ჩემო მკითხველო, ის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ნუცა მათიკაშვილის ოჯახს, თურმე ჯერ კიდევ პრელუდია ყოფილა. ბედისწერა უფრო მძიმე განსაცდელს უმზადებდა მას, როგორც დედას, როგორც მშობელს. როდესაც ფრიდონი ჩავიდა მოსკოვთან ახლოს პატარა ქალაქში დედის სანახავად, მან დიდი წვალებით მიაგნო დედას. მე ბავშვი ვიყავი, როდესაც ამ ამბავს ვისმენდი და დღესაც თვალწინ მიდგას მომჭკნარი, მაგრამ ძალიან ლამაზი სახე და თვალებიდან წამოსული ცრემლები.

თერთმეტი წლის უნახავი შვილი დიდხანს ჰყავდა მკერდში ჩაკრული და ორივე ძალიან დიდხანს ტიროდა. ფრიდონმა რამდენიმე თვე დაჰყო დედასთან და დაეწყო საეჭვო ხველება. მას გამუდმებით ახველებდა დღე და ღამე. ექიმების გასინჯვის შემდეგ ფრიდონს დაუდგინეს ჭლექის ყველაზე მძიმე ფორმა ის მალევე გარდაიცვალა.

ამ ტრაგედიამ მაშინდელ, იქაურ ადგილობრივ მთავრობასაც კი მოულბო გული. ნუცა მასწავლებელი სასჯელისგან დროზე ადრე გაათავისუფლეს. აგონიაში მყოფმა დედამ თავისი შვილის ცხედარი წვალებით ჩამოასვენა საქართველოში და დაკრძალა ვაკის სასაფლაოზე.

როდესაც დავბრუნდი ცხინვალიდან, ეს წიგნები მოუთმენელად გადავიკითხე. განსაკუთრებით მომეწონა სქელტანიანი 500 გვერდიანი წიგნი — „გმირთა თაობა“, რომელიც შეეხებოდა საბჭოეთისადმი დამახასიათებელ ახალგაზრდულ კომკავშირულ ცხოვრებას. ბუნებრივია, ახალგაზრდა, ნიჭიერმა კაცმა აღწერა ის, რაც მის გარშემო ხდებოდა, რა იდეოლოგიითაც იზრდებოდა.

მე გადავწყვიტე „გმირთა თაობა“ მიმეტანა მწერალთა კავშირში. მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გახლდათ პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი. მე მას შორიდან ვიცნობდი. ძალიან გულთბილად მიმიღო, მოვუყევი იმ ბიჭის ტრაგიკული ისტორია და ვთხოვე, გადაეხედა წიგნისთვის და თუ შესაძლებელი იქნებოდა, დაბეჭდილიყო. თანაც ავუხსენი, რომ მას ჰყავს დარჩენილი მოხუცი დედა, რომლისთვისაც ეს დიდი საჩუქარი იქნებოდა. მწერალთა კავშირის თავჯდომარემ ეს წიგნი დაიტოვა და ერთი თვის შემდეგ დამიბარა. დათქმულ დროს მივედი, ასეთი პასუხით შემხვდა(მე არ ვიცი, რამდენად გულწრფელი იყო, ამის განსაზღვრა მე არ შემეძლო): — მე გულდასმით გადავიკითხე ეს წიგნი და უნდა გითხრა, რომ ახალგაზრდა კაცში დევს მწერლური პოტენციალი და დიდი ნიჭი. მაგრამ მე არ შემიძლია ამ წიგნის დაბეჭდვა, იქ ბევრი რამ მოძველებულია და დროც ფიზიკურად არ მაქვს მისი გადამუშავებისთვის. გარდა მაგისა, წიგნის ბეჭდვა... — მან მრავალმნიშვნელოვნად მიმანიშნა, რომ მხოლოდ მასზე არ იყო დამოკიდებული ყველაფერი, რომ არსებობს სხვადასხვა ინსტანცია, ვინც თანხმობა უნდა მისცეს. მე მას დი

დი მადლობა გადავუხადე გამოჩენილი ყურადღებისთვის და როდესაც გამოვდიოდი მისი კაბინეტიდან. მომაძახა:“ ერთს კი გეტყვი, ძმობილო, მსოფლიოში ისტორიაში არის პრეცედენტი, რომ ამ ასაკის კაცს შეუძლია დაწეროს შედევრი ლექსის სახით. პროზაში მე ანალოგს ვერ ვპოულობ! ძალიან გულწრფელად ვწუხვარ, რომ ვერ დაგეხმარე და კიდევ უფრო უფრო ვწუხვარ იმაზე, რომ ქართულმა მწერლობამ ფრიდონ ლომაურის სახით უდროოდ დაკარგა ბრწყინვალე მომავლის მქონე ნიჭიერი კაცი“. მე კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადე ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს და დავბრუნდი ყვარელში. მაშინვე მივედი ნუცა მასწავლებელთან, ყველაფერი მოვუყევი, ის განცვიფრებული და გახარებული დარჩა ჩემი მოქმედებით. მერე შვილის ნივთები გამომართვა, გულში ჩაიკრა, რამდენჯერმე მაკოცა და შეტრიალდა თავის სახლში. სამი დღის განმავლობაში ის ეზოშიც არ გამოჩენილა. მე შემეშინდა, რომ ნუცა მასწავლებელს არაფერი დამართოდა. ავედი მეორე სართულზე, გავემართე მისი საწოლი ოთახისაკენ, მოკრძალებით დავაკაკუნე... მან კარები გამიღო და... შევხედე... ბევრი ტირილისაგან თვალები ჰქონდა დასიებული. „ხომ კარგად ხართ ნუცა მასწავლებელო?“ – „გმადლობთ შვილო, ახლა უკეთ ვარ!“ — ნუცა მასწავლებელო, მე ხვალ თბილისში მივდივარ, რომ ჩამოვალ აუცილებლად კიდევ გინახულებთ“. – „კეთილი მგზავრობა, აუცილებლად მნახე, მადლობა ყველაფრისათვის!“.

ამ ყველაფერს ჰამლეტს რომ ვუყვებოდი. ჩემი მეგობარი დამუნჯებული იჯდა. კარგა ხნის შემდეგ მკითხა: „ირაკლი, როცა დააპირებ ყვარელში წასვლას, აუცილებლად გამაგებინე, ის ქალბატონი მეც უნდა ვნახო“.

ამ საუბრის შემდეგ გავიდა შვიდი თვე. შემოდგომით მოგვივიდა ყურძნის დიდი მოსავალი. ჩემმა უფროსმა ძმამ გივი მათიკაშვილმა მთხოვა, რომ ანსამბლ „რუსთავის“ მთელი შემადგენლობა ჩამეყვანა რთველში. „ რუსთავის“ ბიჭები მოვემზადეთ ყვარელში წასასვლელად. ჰამლეტს ვუთხარი, რომ ფრიდონის დედა მოუთმენლად ელოდებოდა მასთან შეხვედრას. მთელი ანსამბლით ვესტუმრეთ ყვარელს, იმ დღესვე დავკრიფეთ ყურძენი, გვქონდა საერთო დიდი მხიარულება, შემდეგ გაიშალა დიდი სუფრა და დაღლილ-დაქანცულები შევუდექით ქეიფს. სუფრის გაწყობამდე მე და ჰამლეტი ნუცა მასწავლებლის ეზო-კარს მივადექით. ნუცა მასწავლებელი მეორე სართულიდან ეზოში ჩამოვიდა, კარები გაგვიღო. მივესალმე ჩემს საყვარელ მასწავლებელს და გავაცანი ჰამლეტ გონაშვილი, მისი შვილის ცხინვალელი მეგობარი, ვისზედაც ვუყვებოდი ხოლმე. ჰამლეტი ხელზე ეამბორა. როგორც საკუთარ დედას, ისე გადაეხვია და გადაკოცნა. ნუცა მასწავლებელს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და ვგრძნობდი, რომ სტუმარს ისე ეფერებოდა, როგორც თავის შვილს. აივნის ქვეშ ჩამოვსხედით, მრავალწლიანი კვიპაროსის ხესთან. მცირე საუბრის შემდეგ გადავწყვიტე, ისინი მარტო დამეტოვებინა. საქმე მოვიმიზეზე, მოვიბოდიშე და დავბრუნდი ბიჭებთან, სადაც სუფრა უკვე გაშლილი იყო.

კარგა ხნის შემდეგ ჰამლეტი დაბრუნდა. უკვე ქეიფის ეშხში ვიყავით შესულები. ბიჭებს უკვირდათ ჰამლეტის ამდენი ხნით გაუჩინარება. იგი დანაღვლიანებული ჩანდა, ცდილობდა ჩვენთვის გაესწორებინა ხასიათი, აშკარად ეტყობოდა ნუცა მასწავლებელთან შეხვედრით მიღებული ღრმა სინანული და განცდა.

„ლექსო ამოგთქვამ ოხერო“

ერთხელ მე და ჰამლეტ გონაშვილი ანაგაში ვზივართ სუფრასთან, ვსაუბრობდით ათას რამეზე, შემდეგ გადავწვდით ხალხურ პოეზიას და ვეუბნები: ჰამლეტ ნახე რა მაგარი ხალხური ლექსი ნავიკითხე კოტეტიშვილის წიგნში, „ლექსო ამოგთქვამ ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე და შენ კი ჩემად სამღერლად, სააქაოსა რჩებოდე“. ასე გავაგრძელე ლექსი და ჩავათავე ბოლომდე. ჰამლეტმა გულდასმით მისმინა და ღიმილით მეუბნება: შენ გგონია რომ ეგ ლექსი ხალხურია? რა ვიცი ჰამლეტ, მე ვიცი რომ ხალხურია, ხომ გითხარი კოტეტიშვილის წიგნში წავიკითხე. მაგაში ცუდი არაფერია, რომ ხალხი მას იცნობს როგორც ფოლკლორის ნიმუშს მაგრამ სინამდვილეში, მას ჰყავს, კონკრეტული ავტორი, მე დავინტერესდი, დამეუფლა სულმოუთქმელობა, და ვეკითხები: ჰამლეტ, ვინ არის ამ ლექსის ავტორი? მაგრამ როგორც ჩვეოდა ხოლმე მას, მან უფრო დიდ ინტერესში ჩამაგდო და სანამდის არ მომიყვა ამ ავტორის, მეტნაკლებად, ლეგენდა თუ, მართალი ისტორია, მანამდე სახელი და გვარი არ მითხრა, კიდე. ცოტა მაწვალა, და ნიშნის მოგებით მეუბნება ნუ ხარ სულსწრაფი, შემდეგ მომიყვა ტრაგიკული ისტორია ამ ლექსის ავტორისა, რომლის სახელი და გვარი გახლდათ, ახალგაზრდა უვაშკაცესი, ფშაველი ბიჭისა, რომელსაც დედა უყვარდა უსაზღვროდ და ეს ლექსიც სწორედ დედას მიუძღვნა. ამ ბიჭის სახელი და გვარი გახლდათ მიხა ხელაშვილი. ჰამლეტი ისეთი გასაოცარი ემოციით და შთაგონებით მიყვებოდა, რომ იმ წუთას, ჩემს გონებაში, წარმოსახვით გადაიშალა იმ დროინდელი საქართველოს თავგანწირული ბრძოლა, დამოუკიდებლობისათვის.

მიხა ხელაშილი, სრულიად ახალგაზრდა, ჯერ კიდე ოცი წლის შეუერთდა აჯანყებულ ქართველთა რაზმებს, რომელსაც მეთაურობდა დიდი მამულიშილი, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, მიხა თურმე დიდი ნდობით სარგებლობდა ქაქუცასთან, და ხშირად აძლევდა უფლებას წასულიყო დედის მოსანახულებლად ფშავში, თუ არ ვცდები სოფელ ახატში, როგორც ჰამლეტმა მითხრა. ერთხელაც ის დედასთან ჩუმად მისულა სანახავად, იგი დააბეზღეს, მას ალყა შემოარტყეს ჩეკისტებმა და მოსთხოვეს დანებება, მიხა ხელაშვილს, გამოუღია ფანჯარა, გადამხტარა და სროლით ტყისკენ გაქცეულა, მაგრამ მტრის ტყვია მას დაეწია და სიცოცხლეს გამოასალმეს, ქართველი ვაჟკაცი, რომელიც ვფიქრობ, მოკლეს მომავალი დიდი პოეტი.

ეს რასაც მე თქვენ გიყვებით, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ჰამლეტ გონაშვილის ვერსიაა. არ დაგიმალავთ და ამ ამბავმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და თვალებზე მომდგარი ცრემლები მეც და ჰამლეტიმაც, აწეული ღვინით სავსე ჭიქით, მისი მოსაგონარი სადღეგრძელოთი ჩავიხშეთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

ომარ სამიტაშვილი (სამასა)

74 წლის ასაკში გარდაიცვალა გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ყვარლის ფეხბურთის კაშკაშა ვარსვლავი ომარ სამიტაშვილი, ათასობით ფეხბურთის გულშემატკივრის კერპი, ყველასათვის საყვარელი და ხელი-ხელ საგოგმანებელი სამასა!

ლეგენდები თავისთავად არ იქმნება, ლეგენდებს პიროვნებები ქმნიან, ჩვენი სამასაც, რა მეტსახელითაც მას იცნობდნენ ჩვენი ფეხბურთის სამყაროში, ერთი პატარა და ლამაზი საფეხბურთო ლეგენდის ავტორია, რომელიც მან ხანგრძლივი და წარმატებული კარიერის წლებში მოქარგა მწვანე მინდორზე.

არსთა გამრიგემ იგი თითქოს ფეხბურთისათვის შექმნა. სხვაგვარად ვერც იფიქრებ, იმდენად დიდი ნიჭითა და საოცარი ტალანტით იყო დაჯილდოებული. ბურთთან ურთიერთობაში მას საოცრებების კეთება შეეძლო. მისი უცნაური და ორიგინალური მეტსახელი — სამასაც ხომ ბურთთან არის დაკავშირებული.

ფრაგმენტი გაზეთ „ყვარლისათვის“ მის მიერ მიცემული ერთ-ერთი ინტერვიუდან: „მეხუთე-მეექვსე კლასებში გაკვეთილების შემდეგ ბიჭები ბურთის კენწლაში ვეჯიბრებოდით ხოლმე. ხდებოდა, რომ სამასამდე ავდიოდი და აქედან გამომდინარე შემარქვეს სამასა.

წარმოვიდგინოთ, რა ტალანტის პატრონი უნდა იყოს 11-12 წლის ბიჭი, რომ ბურთი მიწაზე დაუშვებლად სამასჯერ აკენწლოს. ეს მაშინ როცა სხვა თანატოლებისათვის ოცი-ოცდაათიც კი დიდ მიღწევად ითვლებოდა.

საფეხბურთო კარიერაც ადრეული ასაკიდან დაიწყო. 16 წლის ასაკში, მეათე კლასის მოსწავლემ ჩაიცვა ყვარლის „დურუჯის“ მისთვის საოცნებო №10 მაისური და პირველივე სადებიუტო შეხვედრაში თელავის „ნადიკვართან“, რომელიც ფრედ 2:2 დამთავრდა, ორივე გოლის ავტორი ახალბედა სამასა გახლდათ.

კიდევ ერთი შრტიხი მისი საფეხბურთო შემოქმედებიდან: 1963 წელს ლაგოდეხის „ჰერეთთან“ მატჩი ყვარლის „დურუჯმა“ 9:1 მოიგო და ცხრავე გოლი ამ შეხვედრაში სამასამ გაიტანა.

მისი შესაძლებლობები, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა და 1959 წელს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს. ითამაშა კიდეც რამდენიმე მატჩი სათადარიგო შემადგენლობაში, მაგრამ მიზეზთა გამო ყვარელში დაბრუნება მოუხდა. სხვათაშორის მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტური მიზეზების გამო, რამდენადაც სოფლელ ბიჭს იქ ე.წ. „კრიშკა“ და თანამდგომი არავის ჰყავდა, რომ საქართველოს პირველ გუნდში დამკვიდრებულიყო.

ჰქონდა მიწვევა გურჯაანის „ალაზანშიც“, რომელიც იმ წლებში სპეციალურად ჩამოაყალიბეს საბჭოთა კავშირის „ბ“ კლასის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის და მაშინდელი საქართველოს არაერთი ცნობილი ფეხბურთელით დააკომპლექტეს. აქ დიდი წარმატებით ითამაშა ერთი სეზონი. გულშემატკივრებს კი იმით დაამახსოვრა თავი, რომ სადაც კი მოუწია გასვლითი თამაშების ჩატარება — გროზნოში, ბაქოში, ვლადიკავკაზში, მახაჩკალაში, ლენინაკანში, კიროვაკანში თუ სხვა ქალაქებში, ყველგან გაჰქონდა თავისი საფირმო გოლები.

გურჯაანის შემდეგ, საიდანაც თავისი სურვილით წამოვიდა, იგი თელავის „ნადიკვარში“ მიიწვიეს და თელავის პედინსტიტუტში ველი ჯგუფი) ყვარლის „დურუჯი“ ლიდერთა მარაქაში გაერია და ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო რესპუბლიკაში. 1966 წელს მხოლოდ არაობიექტური მსაჯობისა და სხვადასხვა მაქინაციების წყალობით დატოვეს „დურუჯი“ საპრიზო სამეულის მიღმა, არადა, გუნდი მთელი სეზონის განმავლობაში ლიდერობდა ჩემპიონატს. სამასას მიერ გატანილ გოლებს კი თვლა არ ჰქონდა. სტაჟიან გულშემატკივრებს, ვფიქრობთ, დღესაც ახსოვთ თუ როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს გოლების გატანაში სამასა და აწ განსვენებული როინ ტაბუცაძე.

სამასას, როგორც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილის უაღრესად ტექნიკურ ფეხბურთელს და მაღალი კლასის თავდამსხმელს, მთელი საქართველო იცნობდა. ჰყავდა უამრავი მეგობარი, როგორც საფეხბურთო, ისე არასაფეხბურთო წრეებში და მი სი ტალანტის დამფასებელი უთვალავი თაყვანისმცემელი. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ახლოს იცნობდა ქართული ფეხბურთის ცნობილ დიდოსტატებსაც. 1975 წელს, უკვე „დურუჯის“ მწვრთნელის რანგში, როცა სერიოზული ინციდენტი მოუხდა მსაჯებთან, სწორედ მათი თანადგომით მოახერხა ვითარების განმუხტვა. თუმცა, უმჯობესია, აქ ისევ მისივე ინტერვიუდან კიდევ ერთი ფრაგმენტი მოვიყვანოთ:

„სასჯელი გარდაუვალი იყო, მაგრამ ჩემი უფროსი მეგობრების, ლეგენდარული ფეხბურთელების მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, სულიკო თორაძის, ვახტანგ რეხვიაშვილის დახმარების წყალობით გადავრჩი უმკაცრეს სასჯელს“.

სამასა მთელი 15 წლის განმავლობაში გამოდიოდა მწვანე მოედანზე. აქედან 9 წელი ატარა ყვარლის „დუდუჯის“ კაპიტნის სამკლაური. მთელი საფეხბურთო კარიერის მანძილზე იყო გუნდის აღიარებული ლიდერი და ყვარლელ გულშემატკივართა მთავარი იმედი. ჩვენი თაობის ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ მაყურებლებით გადაჭედილი ყვარლის სტადიონი, სადაც ყოველი საფეხბურთო მატჩი საყოველთაო ზეიმის ელფერს ატარებდა, სადაც მაყურებლები მოდიოდნენ არა მხოლოდ „დურუჯის“, არამედ კონკრეტულად სამასას თამაშის სანახავად, იმდენად პოპულარული იყო იგი იმ წლებში. მას, როგორც გამორჩეულ საფეხბურთო ავტორიტეტს, დიდ პატივს სცემდა ყველა, რაიონის პირველი პირებიდან დაწყებული, საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლით დამთავრებული, სარგებლობდა საყოველთაო აღიარებით და სიყვარულით გულშემატკივართა შორის.

დღეს ეს ავტორიტეტი — ომარ სამიტაშვილი უკვე აღარ არის ჩვენს შორის!

ყვარელმა დაკარგა სამასა!

ჩვენს ფეხბურთს, რომელიც ჟამთა უკუღმართობის, თუ სხვათა „დამსახურების“ გამო ძლივსღა ფეთქავს, დააკლდა სამასა...

როგორც ფეხბურთისათვის თავდადებული კაცი, იგი ძალზე განიცდიდა ჩვენს ფეხბურთში შექმნილ სავალალო მდგომარეობას და ვიდრე ჯანმრთელობა ხელს უწყობდა, სერიოზულად ფიქრობდა ხელი მოეკიდა ამ საჭირბოროტო საქმისათვის. ამასთან დაკავშირებით მოგიყვანთ კიდევ ერთ ფრაგმრნტს მის მიერ გაზეთ „ყვარლისათვის“ 2001 წელს მიცემული ინტერვიუდან:

„გული მტკივა, რომ ფეხბურთში დიდი ტრადიციების მქონე ყვარლის „დურუჯი“ საერთოდ აღარ არსებობს. თუ გვერდში ამომიდგებიან ყვარლის ხელმძღვანელობა და სპორტის მესვეურები, ფეხბურთის გულშემატკივრებს იმედს ვაძლევ, რომ ისევ იქუხებს „დურუჯი“. სურვილი მაქვს პირველი სექტემბრიდან გავხსნა სპორტული სკოლა. ეს იქნება თბილისის სპორტული სკოლა „მთვარის გლობუსის“ ფილიალი, სადაც მომზადდებიან პერსპექტიული ფეხბურთელები“.

სამწუხაროდ, მისმა ამ ინიციატივამ ვერ ჰპოვა ჯეროვანი მხარდაჭერა და თანადგომა, რის გამოც მისი ეს ოცნება განუხორციელებელი დარჩა. რას ვიზამთ, ჟამთა უკუღმართობამ აქაც იჩინა თავი. სხვა შემთხვევაში მისი დამსახურების მქონე კაცი სხვაგვარად იქნებოდა დაფასებული. მაგრამ დრომ ყველაფერი წაიღო, დღევანდელ ცხოვრებაში და საზოგადოებაში სხვა ღირებულებებია გაბატონებული. წარსულის „საქმენი საგმირონი“ აღარავის ახსოვს. დასანანია, რომ ჩვენი ფეხბურთის სიამაყე, რომელიც ყვარლის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად არის აღიარებული, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მისი ღვაწლის სათანადოდ დაფასება ვერ შევძელით.

ყოვლის მსახვრალი დროის დინება ყველაფერს შლის ამ სამყაროში და წარსულის საბურველს აფარებს. ომარ სამიტაშვილის ბობოქარი სპორტული ცხოვრების წლებიც და მისი პიროვნებაც აწ უკვე წარსულის საკუთრება გახდა.

სამუდამოდ გამოემშვიდობა თავის სათაყვანო ყვარელს შრომაში და სპორტში გამობრძმედილი კაცი, ყვარელზე შეყვარებული და გულანთებული მამულიშვილი!

წავიდა სამაგალითო სპორტსმენი და ასევე სამაგალითო ოჯახის პატრონი, დატოვა მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ოთხი შვილის, რვა შვილიშვილის, ერთი შვილთაშვილის სახით, რითაც პირნათლად მოიხადა ვალი ერისა და ქვეყნის წინაშე!

ჩვენ კი იმედი ვიქონიოთ, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი დალაგდება ჩვენს ქვეყანაში, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება და ახდება ჩვენი განსვენებული მეგობრის უკანასკნელი სურვილიც — ყვარლის სტადიონი კვლავ მოუხმობს გულშემატკივრებს და კვლავ ძველებურად იქუხებს ყვარლის „დურუჯი!“

და ვინატროთ, რომ ყვარელმა ოდესმე კიდევ გაზარდოს ფეხბურთის ისეთი დიდოსტატი, როგორიც იყო ომარ სამიტაშვილი!

სამასა გამოეთხოვა თავის სათაყვანო ყვარელს!

ყვარელი ემშვიდობება სამასას!

მისი ხსოვნა დაუვიწყარია, ნათელი დაადგეს იმ ქვეყანაზე და უფალმა სიმშვიდე ნუ მოაკლოს მის სამარადისო განსასვენებელს!

თანაგუნდელები:
ალიმან ლაფაჩიშვილი, კაკო სეფაშვილი, ომარ სეფაშვილი, გოგია მოლაშვილი, თამაზ ჩიტრეკაშვილი, გივი მირიანაშვილი, გივი ნერსეზაშვილი, ელგუჯა ტაკაშვილი

ოთარ ქანდაურიშვილის ხსოვნას

ულმობელმა სიკვდილმა კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება გამოაკლო ჩვენს რიგებს, იგი თავისი პიროვნული თვისებებით მისაბაძი იყო მეგობრებისთვის, ამიტომაც განვიცადეთ უდიდესი ტკივილი მისი მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

ბედნიერად ვთვლით თავს, რადგან წლების განმავლობაში მოგვიწია ოთარ ქანდაურიშვილთან ურთიერთობა. კაცურ-კაცობით სულდამშვენებულმა პიროვნებამ წარუშლელი შთაბეჭდილება დაგვიტოვა მეგობრებს, თანამშრომლებს.

ღირსეული მოქალაქე, მგზნებარე პატრიოტი, ბრწყინვალე მშენებელი, შესაშური მეოჯახე და მეგობრებისთვის, სამსახურისათვის თავდადებული — აი რეალური სახე ბატონი ოთარისა.

შინაგანი მორიდება და თავაზიანობა უაღრესად გამკობდა და ამიტომაც, ჩვენო ოთარ ივანიჩ, გვიყვარდი შენს საძმოს, სამსახურის მეგობრებს. ვერავინ იფიქრებდა, თუ ასე ნაადრევად დატოვებდი ყვარელს, შენს ლამაზ ოჯახს, სამეგობროს, სამსახურს და სხვა სამყაროს შორეულ გზას გაუდგებოდი..

შენ, ჩვენო ოთარ, შენი განვლილი ცხოვრებით იქეცი ყვარლის რაიონის კოლორიტად, მისაბაძ ადამიანად, ისე, რომ შენი შვილები და შვილიშვილები ყოველთვის ივლიან ამაყად და შენს მიერ წამოწყებულ საქმეს მიიყვანენ ბოლომდე.

ოთარმა 61 წელი უღალატოდ იარა და კაცურ-კაცობის ლამაზი სახელი დატოვა. არ ვიცით, რამდენ ხანს ვიცოცხლებთ, მაგრამ ვიცით, სანამ ცოცხლები ვართ შენ დავიწყება არ გიწერია.

გვიმძიმს, რომ ყოველდღე ვეღარ გხვდებით, შენს თავაზიან სალამს ვეღარ ვპასუხობთ.

იძინე მშვიდად, ჩვენგან ანთებული სანთლები გაგინათებს გზას მარადიულ სასუფეველში. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ყვარლის მიწა.

თანამშრომლები, მეგობრები

კიდევ ერთი ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი

საყვარელი ადამიანის დაკარგვისგან გამოწვეული ტკივილი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ეს ტკივილი, უფრო ძლიერი და საშინელია, თუ იგი მოულოდნელად გართმევს საყვარელ ადამიანს და უფრო მეტად მტკივნეული, თუ ის ახალგაზრდაა.

ჩვენო ლამაზო, კეთილო, სიცოცხლით სავსე თათია, რა მოულოდნელად წაგვართვა შენი თავი ულმობელმა სიკვდილმა. არ შეგიბრალა არც შენ, არც შენი პატარა — ვ თვის ანანო, მოსიყვარულე მეუღლე და შენი ახლობლები.

შენ, ჩვენთვის ნათელი, კაშკაშა ვარსკვლავი იყავი, მოულოდნელად მოწყდი ციდან და წახვედი, წახვედი შორს და დაგვიტოვე საშინელი მწუხარება სულში და მოუშუშებელი იარა გულში.

მშვიდობით ჩვენო ნათელო, ტკივილიანო ვარსკვლავო. სასუფეველი დაგიმკვიდროს ღმერთმა თავის საუფლოში. შენი მოსიყვარულე, კისკისიანი სახე ყოველთვის დარჩება შენი ოჯახის, ახლობლების, მასწავლებლების ხსოვნაში. ყოველთვის გაგიხსენებთ ტკივილით და სინანულით.

სანავარდოს საჯარო სკოლის პედაგოგები

გვენატრები ლიზა მასწავლებელო!

ჩემო საყვარელო ლიზა ლევანოვნა, აი უკვე მეორედ აღვნიშნეთ თქვენი დაბადების დღე უთქვენოდ — 10 თებერვალს. ძალიან მძიმე ბავშვობა გქონდათ, ობლად გაიზარდეთ, ალბათ ამიტომაც თქვენ გეცოდებოდათ ყველა ობოლი და გაჭირვებული. ეხმარებოდით მათ რითაც შეგეძლოთ. არასოდეს ბოროტებას ბოროტებით არ პასუხობდით. ასე ასწავლიდით სხვებსაც, მათ შორის თქვენს აღსაზრდელებს.

მე არ მეგულება სხვა ადამიანი არც წარსულში და არც ახლა, რომელსაც ერთდროულად იმდენი დადებითი თვისებები ჰქონდეს, რამდენიც თქვენ. თქვენ გამოირჩეოდით სხვებისგან დიდი ჰუმანურობით, თქვენ იყავით კეთილი და ჭკვიანი, ლამაზი და სათნო, განათლებული და კულტურული, სხვების გულშემატკივარი და მესაიდუმლე, დიდებთან დიდი და პატარებთან პატარა, კარგი აღმზრდელი და პედაგოგი, ერთგული მეუღლე და მშრომელი, კარგი შვილების კარგი მშობელი, კარგი მეგობარი და კოლეგა. ო, კიდევ რამდენი ლამაზი სიტყვის ჩამოთვლა შეიძლება თქვენზე... ეს ყველა კარგი თვისება თქვენთან ერთად დაიმარხა ორი წლის წინ, მაგრამ ვინც გიცნობდათ, იმათ გულებში დარჩით სამუდამოდ, მათ შორის ჩვენს გულშიც, ყოველთვის მახსენდებით დიდი სიყვარულით და თვალებზე ცრემლებით.

დიდ მადლობას გიხდით, რომ მიყვარდით და ისევ მიყვარხართ...

ნათელა მარგიევი, კუჭატანი

თეა-თეონა ელიოზიშვილის გახსენება

ჩემო თეა — თეონა — თეკლე, ჩემო ანგელოზო შვილო, მჯერა, რომ ამ წუთშიაც ზეცაში დაფარფატებს შენი კეთილშობილი სული, ჩემო ნარნარა, კაფანდარა „შუშპარა და მჩქეფარევ“ (რა ლამაზად კითხულობდი ამ ლექსს). ოთხი წელი ხდება შვილო, 24 თებერვალს, რაც ჩვენგან იმ მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე და მჯერა, რომ ასეა, რადგან მე შენი დიდი და უკანასკნელი სურვილი შევასრულე და შენივე თხოვნით მოძღვარი ავირჩიე, მღვდელი მამა ზაზა (ნაცვლიშვილი). იმ დღიდან ის ჩემი გადამრჩენელია, რომ არა მამა ზაზა, მე დღეს ისედაც რა ღა ვარ და ესეც აღარ ვიქნებოდი, შვილო, ჩვენ ერთად ვიღწვით და ვლოცულობთ შენი სულის სიმშვიდისათვის, არადა მეგონა და ახლაც მგონია ხანდახან, იმ ხუთი დღის განმავლობაში, დილიდან საღამომდე შენს ანგელოზ სახეზე რომ ვიყავ დამხობილი და ვგოდებდი, ასე მგონია ჩემს თავის ტვინში ისეთი რამ მოხდა, რომ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებ, რომ შენ აღარ ხარ და თუ ეს ასე არ არის, მაშ მე როგორღა ვარ უშენოდ, შვილო? რატომ, დე? რისთვის არის ეს მსხვერპლი საჭირო? რატომ უნდა არგუნო დედას ეს უსახელო უბედურება, რომელსაც ვერ ახსნი და გადმოსცემ რა ტკივილია და რომ არც არასოდეს განელდება.

ტყუილად უთქვამთ მიწა გრილიაო, მიწა გრილი მაშინ არის, როცა სასოწარკვეთილი, საფლავზე დამხობილი მოთქვამ და გოდებ, დრო კი მკურნალად იმიტომ გეჩვენება, რომ იმ წუთში არ გიხეთქამს გულს (რაც ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა, უსასოოდ დარჩენას) არამედ ნელ-ნელა გაკნინებს, განადგურებს, გაქვავებს და ბოლოს ამოგაძრობს მაგ განაწამებ სულს. მე ჩემს თავს ქალს კი არა ქალქვას ვეძახი. ასე მგონია სული გამეყინა, გული გამიქვავდა, სისხლი გამომიშრა და რომ ეს ყველაფერი გხდის რაღაც არარაობას.

აღარ ვიცი მიყვარდეს თუ მძულდეს თებერვლის თვე. 18 თებერვალს დაიბადე და 24-ში გარდაიცვალე. ახლაც არ ვიცი რა ვქნა ამ წერილით შვილო, დაბადების დღე მოგილოცო, თუ დაგიტირო. შენ ხომ მთელი ცხოვრება ასეთ სიურპრიზებს მიმზადებდი, 16 წლამდე იყავ ჩემი, ჩემო ნაფერებო და სათუთად გაზრდილო გოგო. 16 წლის შემდეგ კი გამეპარე და აგერ დღემდე მივტირი შენს გზას. მიუხედავად ამისა, შენ ჩემი სიამაყე და ჩემი იმედი იყავ, შენ მარტო მე კი არა, ახალსოფელსა და თბილისსაც დააკლდი. სულ მიკვირდა და გეკითხებოდი საიდან გყავს ამდენი ნაცნობ-მეგობრები. შენ შენი 37 წლის სიცოცხლის მანძილზე ამ ერთმა სიფრიფანა გოგომ იმდენი სიკეთე, სითბო და სიყვარული დათესე ახლობლებში და მეგობრებში, რომ ზოგს ასი წელიც არ ეყოფოდა მაგისთვის. აღარ დადის ახალსოფელში ერთი ნარნარა და კაფანდარა გოგო, რომელიც ყველას უყვარდა. შენ ხომ ორივე სკოლის სიამაყე იყავი, ერთის საუკეთესო მოსწავლე და მეორის საუკეთესო მასწავლებელი. დღესაც ცრემლი ერევათ ჩემს დანახვაზე შენს თანაკლასელებს და კოლეგებს, მთელმა ქვეყანამ დაგიტირა შვილო და უამრავმა პროცესიამ მიგაცილა თურმე საბოლოო გზაზე. მე შენს მეტს ვერაფერს ვხედავდი და ვამჩნევდი. ახლაც სიზმარივით მახსოვს ის ყველაფერი შვილო და ისე მიკვნესის გული, რომ გულწრფელად ვამბობ: ღმერთო, მე ვი ყო უკანასკნელი დედა და ნურა დედას ნუ მოუკლავ შვილს.

ხან ისე მენატრები თეკლე, რომ ღამის თმები გავიგლიჯო, ტანსაცმელი შემოვიხიო, კივილი ავტეხო, რაღაც სიგიჟე ჩავიდინო, რომ შვება ვიგრძნო, ასეთ წუთებში ნათლად ვხედავ შენს სათნო, ღიმილიან სახეს და მაშინვე ვხვდები შვებას რაც მომცემს: შენი საფლავი, სადაც იმ წუთში გამოვრბივარ ყვავილებით და სანთლებით ხელში, შევეხები შენს გაციებულ ქვაზე გაცისკროვნებულ სახეს და შენს სულს ვიფიცავ, საოცარი სიმშვიდე მეუფლება, მე არ მეშინია მატრო შენთან ყოფნა, პირიქით აღარ ვტირივარ, გეჩურჩულები და გელაპარაკები ყველაფერს ჩვენზე, შენს გუჯასა და აკოზე გელაპარაკები, აკო უკვე მეხუთე კლასშია, შენ ხომ ორივე ძალიან გიყვარდა და მათაც ძალიან უყვარდი, ახლა მხოლოდ იმათ თვალებში ვხედავ უშენობით გამოწვეულ ნაღველს. აკოს ხშირად ველაპარაკები შენზე, რომ ძალიან, ძალიან კარგი დედა გყავდა მეთქი, არ მინდა, რომ დაავიწყდე.

ჩემო ლამაზო, ჭკვიანო, კეთილო, გაწონასწორებულო, ყოველთვის მშვიდო და ფერია გოგო, აკი, რამოდენიმე ადამიანს სიკვდილის მერე ცაში მოფარფატე და მოფრიალე ლამაზ ანგელოზად ესიზმრე. მეც ასე ვფიქრობ: შენ კი იყავ კარგი დედა, კარგი შვილი, კარგი მეუღლე, მასწავლებელი და დიასახლისი, უზომოდ ლამაზი ლექსების შემქმნელი და მთქმელიც, მაგრამ მთელი ცხოვრება ქვეცნობიერში მეჩვენებოდა, რომ შენნაირი ადამიანი ამქვეყნიური სასტიკი ცხოვრებისათვის არ იყო გაჩენილი და მართლა მჯერა, რომ შენ ახლა იქა ხარ ზეცაში და იმედია სამოთხეშიც.

უნდა შევწყვიტო წერა, შვილო, თორემ ამ ოთხი წლის მანძილზე 4 წუთიც არ გასულა, რომ შენზე არ მეფიქრა, სადაც არ უნდა ვიყო და რასაც არ

უნდა ვაკეთებდე და სულ რომ ვწერო ამ ნაფიქრალებით, ტომები დაიწერება. ამიტომ ახლა შენს ასე ვთქვათ „წერას“ უნდა შევეხო. მე შენი სიკვდილის მერე აღარ ამიღია ხელში კალამი, შენ კი სიკვდილმა დაგიდუნა მარჯვენა, ვერსად ვერ ვიპოვე შენი ლექსები, შვილო, მხოლოდ ერთი ქაღალდის ნაგლეჯი, რომელიც შენმა ქმარ-შვილმა იპოვა გარდერობის თავზე და მეორე შენს ფეისბუქზე გეწერა, ნეტავ არცერთი არ მენახა, დედი, ამათ ხომ საბოლოოდ გამანადგურეს, რადგან შენ უკნასკნელ ამოსუნთქვამდე იმედი გქონდა, რომ კარგად გახდებოდი და დაძლევდი ამ ავადმახსენებელ სენს და სიტყვა სიკვდილი არც გიხსენებია. თურმე მართლა როგორ „თამაშობდი“, ჩემო უბედურო შვილო. აქ უნდა გავამხილო შენი ორი საბოლოო ლექსი, რომლებმაც ყველაფერი თქვა, რაც შენ არ თქვი:

ჩემი სიმშვიდე არის ფორმალური,
ღამით, როცა მძინავს,
ვარსკვლავებს ვდარაჯობ.
მე ვარ... როგორ გითხრა?
— არანორმალური
ცხოვრებით ვთამაშობ.

აი, ამას კი როგორ ვუძლებ არ ვიცი:
სული საშინელი ნაწამები;
სხეული არანაკლებ ნაწვალები;
ქიმიით დაცვენილი ნაწნავები —
ფიქრი მტანჯველი და ნაჩქარევი.
სიკვდილი გვერდს ჩავლილი,
შესამჩნევი
ცოდვები გრძნობებზე დანამჩნევი.
აღარ მაქვს სათქმელი დანარჩენი,
ეს არის უფლის განაჩენი.

ჩემო საცოდავო შვილო, მე რაღა მაქვს ამის მერე მართლაც სათქმელი, გარდა იმისა, რომ ვეფერო ზამთარზაფხულ შენს კეკლუცად მოვლილ საფლავს, უფალს ვთხოვო იმ ლოცვებში, რომლებსაც გიკითხავ სახლში, ტაძარში და საფლავზე, მშვიდად განისვენო მაგ მყუდრო სასუფეველში.

უშენობით გათანგული
დედა ნაზი ხვთისიაშვილი

მონატრებული შვილის ხსოვნას

შენი დაბადების დღე მოვიდა, პირველი დაბადების დღე შვილო, უშენოდ უნდა ავღნიშნოთ. ოქტომბრის თვეში უნებლიედ შეჩერებულ შენს სიცოცხლესთან ერთად, ჩვენი ოჯახის ცხოვრებაც შეჩერდა.

მენატრები, გვენატრები უსაზღვროდ, ყველგან დაგეძებ, მხარზე ხელს მხვევ და მაიმედებ, შენთვის ხომ დედა ყველაფერია, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. მიხაროდა თქვენი არსებობა, რა ბედნიერი ვიყავი, ორი ვაჟკაცი მიმშვენებდა მხარს. ვიკლავ ორმაგ ტკივილს, შვილო, შენს მონატრებას და ლევანის წუხილს. ორივე ერთად დაგვტოვე, მოუშუშებელი იარები დაგვიტოვე.

ჩვიდმეტი წლის გამიხდი შვილო, 5 თებერვალს. პაპა-ბებიები დაგპირდნენ ამ დღის აღნიშვნას და არც შეგარცხვინეთ. ნუ გეშინია, ხომ იცი მეგობრები არ გივიწყებენ, შენი სახელობის ტურნირი ჩაატარეს მკლავჭიდში, საფლავზე დაგინთეს სანთლები და მოგილოცეს დაბადების დღე. შენი ძმა ლევანი დიდ სამზადისში იყო, შენი სახელობის ტურნირი გამართა მკლავჭიდში და უმასპინძლა შენს მეგობრებს.

მენატრები, გვენატრები. სიცოცხლის ბოლომდე კარებისკენ მაყურებელი დედა დამტოვე, ჩემო ტკივილო და უსაზღვრო მონატრებავ.

დედა

დარიკო ნადირაძის ხსოვნას

ნათქვამია, სიკვდილსაც კარგის გამორჩევა უყვარსო. გვიძნელდება წარსულში ვილაპარაკოთ თქვენზე... საითაც გაივლიდი ყველგან უზღვავ სიკეთეს თესავდი, თვითონვე ხარობდი შედეგით.

ყველას გასაჭირი გულთან მიგქონდა და ბოლომდე იხარჯებოდი. იყავი შესანიშნავი მეუღლე, შვილებზე გადაგებული დედა, შვილიშვილებისათვის ერთგული და მოჭირნახულე ბებია.

შენს სათაყვანო ოჯახს ზედ დაჰკანკალებდი, მუხლჩაუხრელად შრომობდი, შენი გარჯა და მარჯვენის მადლი ეტყობა შენს სახლ-კარს.

სითბო და სიყვარული, რომელიც დაგვიტოვე, ამქვეყნად ყოფნას გვიადვილებს.

დღითი დღე უფრო მტკივნეულია შენი არყოფნით გამოწვეული სიცარიელე, ვერასოდეს დავივიწყებთ შენს სათნოებას, გულისხმიერებასა და სულის მხნეობას.

იმედი გვაქვს, რომ შენი უმთავრესი და დიდი ოცნება — შვილიშვილები ანა, ჯუანშერი და ვანო ცხოვრების გზას გაიკვლევენ და შენი სურვილისამებრ სანაქებო ქართველები იქნებიან.

მხოლოდ შენზე მოგონებებით, საფლავზე მოსვლით და სანთლების ანთებით თუ შევძლებთ შენი ამაგისა და პატივისცემის გადახდას.

მადლობელი ვართ შენი ლამაზი სიცოცხლისათვის.

ოჯახი

განცხადებები

შვილები: სოფიკო, მარინა, თინიკო, ილია; და თინა; დისშვილები ავთო, ზურა, ნანა, ირმა; სიძეები ლეო ხახუტაშვილი, ლაშა გიორგობიანი; რძალი ეკა ქართველიშვილი; შვილიშვილები, შვილთაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ომარი (სამასა) სამიტაშვილი**.

დაკრძალვა 9 თებერვალს, ყვარელში.

მეგობრები მწუხარებაში თანაუგრძნობე ილია სამიტაშვილს მამის **ომარ (სამასა) სამიტაშვილის** გარდაცვალების გამო.

ყვარლის I საშუალო სკოლის 1959-60 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებაში თანაუგრძნობენ სამიტაშვილების ოჯახს თანაკლასელის **ომარ სამიტაშვილის** გარდაცვალების გამო.

კუჭატნის საჯარო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სკოლის პედაგოგს სვეტლანა მარგიევს დედამთილის **ვერიჩკა ქიზიყურაშვილის** გარდაცვალების გამო.

დავით შიუკაშვილის გახსენება

მამა, 2 წელი გავიდა შენი წასვლიდან, ორი ტკივილიანი წელი. რა ძნელია უშენობა, როგორ გვაკლიხარ და გვენატრები. მუდამ მოფუსფუსე, სხვებზე მზრუნველი, დაუღალავი და ხალისიანი, — ასეთი ახსოვხარ ყველას. გული სიკეთით გქონდა სავსე. ისე უშურველად გასცემდი სიკეთეს, რომ არც გამოჩნდებოდი. რამდენი ხანია მინდოდა შენზე რამე დამეწერა, მაგრამ გამიჭირდა ძალიან, სიტყვებს ვერ ვპოულობდი. რას არ გავიღებდი, რომ კიდევ შემძლებოდა შენთვის დამეძახა მამა, მოგფერებოდი კიდევ ერთხელ, მაგრამ ნატვრა ნატვრად რჩება. მაპატიე მამა, თუ რამე გაწყენინე და გული გატკინე. ვნანობ, რომ სიცოცხლეში არ მითქვამს შენთვის, რა ძალიან მიყვარდი და რა დიდი იმედი იყავი ჩემთვის. რომ იცოდე, ალიკას როგორ აკლიხარ, ოჯახის მთელი ტვირთი ხომ მას დააწვა მხრებზე. იცი, როგორი სიტყვაძუნწია, ტკივილს გულში იტრიალებს. ახლა ვხვდებით, რამდენი რამე გიკეთებია. მთელი ცხოვრება შრომაში გაქვს გატარებული, ყველაფერს აკეთებდი, თავს არ ზოგავდი, რომ ოჯახი ფეხზე დაგეყენებინა. იყავი არაჩვეულებრივი მეუღლე, მზრუნველი და მოსიყვარულე მამა და პაპა. შენი ნიკუშა ხშირად გახსენებს, ახსოვხარ, მალ-მალე გვეკითხება — პაპის საფლავზე არ წავიდეთ, სანთელი არ დავუნთოთო? დედას ძალიან უჭირს უშენობა, შეიცვალა ძალიან. მამა, ილოცე მაქედან, რომ დედამ დიდხანს იცოცხლოს, კარგად იყოს, ჩვენ ის ძალიან გვჭირდება, დალოცე შენი მონაგარი. 17 თებერვალს 83 წელი შეგისრულდა. მოვედით შენს საფლავზე, დაგინთეთ სანთლები და კიდევ ერთხელ მწარედ დაგიტირეთ.



მამა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული და მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენს გულზე დაყრილი მიწა.

ოჯახი

ქალბატონ ლამარა მჭედლიშვილს!

ჩვენს ყოფილ მასწავლებელს, აწ გარდაცვლილ ალმატის საჯარო სკოლის მასწავლებელს ლამარა მჭედლიშვილს იმ სამუდამო განსასვენებელში ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი სული.

ნინო ბაწილაშვილი

იყიდება მეორადი შიფერი

იყიდება 15 ცალი 6 ღარიანი
ზომით 1.70X1.10 მ.
და 35 ცალი 5 ღარიანი შიფერი
ზომით 1.10X0.70 მ.
ხელსაყრელ ფასად.
ტელ: 577 95 85 45

სად არის სახლში ყველაზე მეტი ბაქტერია?

არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ხშირად, ან საფუძვლიანად ასუფთავებთ ბინას, მავნე მიკრობები და ბაქტერიები ფარულად მაინც მრავლდებიან ისეთ ადგილებში, რომელზეც წარმოდგენაც არ გაქვთ. თქვენს ბინაში ყველაზე მეტი ბაქტერია ყავის მადუღარაში ბუდობს. ამ თემაზე Today-სთან ინტერვიუში ჟურნალ ღეალ შიმპლე-ს მთავარმა რედაქტორმა სარა ჰამპრისმა ისაუბრა. ჩვენს სახლებში ყველაზე მეტი ბაქტერია ბუდობს: სააბაზანო — აბაზანის ფეხსაწმენდი, ტუალეტის კედლები, კბილის ჯაგრისისთვის განკუთვნილი კუთხე. სამზარეულო — ყავის მადუღარა, ცხოველების საკვებისთვის განკუთვნილი თასი, ღუმელის სახელური. სასტუმრო ოთახი: პულტი, ძაღლის სათამაშოები, სინათლის ჩასართავი ღილაკები.

მეცნიერებმა დაადგინეს, რა იწვევს თავის ტკივილს



ამერიკელმა მეცნიერებმა გაარკვიეს მიზეზი, რის გამოც ადამიანებს თავი სტკივათ. მათი თქმით, საქმე ტვინის მოლეკულებშია. ამ მოლეკულების ზედმეტი დაგროვება იწვევს თავის ტკივილს მაშინ, როდესაც მცირე რაოდენობით ისინი არანაირ ზიანს არ აყენებენ ორგანიზმს. მოლეკულების გადამეტებული ნორმა იწვევს პროცესებს, რომლებიც თავის ტკივილად გამოიხატება. ასევე მეცნიერებმა დაადგინეს, როგორ ვებრძოლოთ თავის ტკივილს. მათი თქმით, იმისთვის, რომ ბაქტერიების რაოდენობა ნორმაში მოვიყვანოთ, საჭიროა საკვებ რაციონში მეტი ისეთი პროდუქტი შეიტანოთ, რომელიც „ცე“ ვიტამინს შეიცავს, ხშირად ვისეირნოთ სუფთა ჰაერზე და არ ვსვათ უსარგებლო სითხეები. მომზადებულია რენ.ტვ-ს მიხედვით.

სპორტული ასპარეზობები

გიორგი ლაფერაშვილის ბრინჯაოს მედალი

მიმდინარე წლის 3-7 თებერვალს ქ. ფოთში გაიმართა საქართველოს პირველობა კრივში ახალგაზრდებს შორის.

49 კგ. წონით კატეგორიაში გამოვიდა ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელი გიორგი ლაფერაშვილი. ნახევარფინალამდე მან ბრწყინვალედ იასპარეზა, ზედიზედ დაამარცხა გორის და ბორჯომის წარმომადგენლები. ნახევარფინალში დაუპირისპირდა ევროპის 2015 წლის ჩემპიონს ჭაბუკებს შორის თბილისელ სახილ ალახვერდოვს. ორთაბრძოლა ძალიან დაძაბული გამოდგა. პირველი რაუნდი ჩვენი მოკრივის გამარჯვებით დამთავრდა, შემდეგ თავი იჩინა დაღლილობამ და ორთაბრძოლა მცირე უპირატესობით დათმო და მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა. იგი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ჩაირიცხა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში. ვუსურვოთ მას მომავალში წარმატებით გამოსვლა.

მწვრთნელები: ზურაბ ტოსტიაშვილი, ფარნაოზ მაისურაძე, ლერი გაგნიძე

ნოდარ ზუბიტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მკლავჭიდში

გასული წლის შემოდგომის მიწურულს უდიდესმა მწუხარებამ მოიცვა სოფელი შილდა. ავტოავარიამ შეიწირა სწავლასა და შრომაში გამორჩეული, თავისუფალ ჭიდაობასა და მკლავჭიდში მრავალგზის გამარჯვებული, შილდის 2 საჯარო სკოლის მეათე კლასის წარჩინებული მოსწავლე ნოდარ (ნოდო) ზუბიტაშვილი. სკოლის მოსწავლეების და პედაგოგების მონატრება უსაზღვროა და დღე არ თენდება მასზე ტკივილიანი ფიქრის გარეშე. ამიტომაც გადაწყვიტეს ნოდარის დაბადების დღის აღსანიშნავად მოეწყოთ რეგიონალური მასშტაბის ღონისძიება.

2016 წლის 5 თებერვალს, სოფელ შილდის კულტსახლში, ნოდარ ზუბიტაშვილის დაბადების დღეს, მისი სახელის უკვდავსაყოფად, მეგობრებისა და ოჯახის წევრების ინიციატივით გაიმართა რეგიონალური მასშტაბის ტურნირი მკლავჭიდში. შეხვედრას ესწრებოდნენ კახეთის რეგიონის მკლავჭიდის ფედერაციის, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები.

ტურნირში მონაწილეობა მიიღეს 80 კილოგრამზე ზევით, 80 კილოგრამიან, 70 კილოგრამიან და 60 კილოგრამიან წონით კატეგორიებში მოასპარეზე სპორტსმენებმა. დაძაბულ ორთაბრძოლებში საპრიზო ადგილები მარჯვენა ხელით მკლავჭიდში დაისაკუთრეს ძირითადში ახმეტელმა სპორტსმენებმა. 80 კილოგრამის ზევით კატეგორიაში პირველი ადგილი არავის დაუთმო გურამ აბულაშვილმა (ახმეტა), მეორე — აკაკი გოდერძიშვილმა (ახმეტა) და მესამე — შმაგი მამუკელაშვილმა (ახმეტა). 80 კილოგრამიან წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა გაიოზ ცეცხლაძემ (ლაგოდეხი), მეორე — მიხეილ მაისურაძემ (ლაგოდეხი) და მესამე — აჩიკო სამიტაშვილმა (ყვარელი). 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში — პირველი ადგილი დაიკავა გიორგი ურბეხაშვილმა (ახმეტა), მეორე — დათო ტუგულაშვილმა და მესამე — ლევან ზუბიტაშვილმა (შილდა). 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი მიეკუთვნა ლევან დავითაშვილს (ახმეტა), მეორე — ლაშა ქავთარაძეს (ახმეტა), და მესამე — თორნიკე ტაბატაძეს (ლაგოდეხი).

მარცხენა ხელით მკლავჭიდში: პირველი ადგილი დაიკავა მერაბ დოკაძემ (ახმეტა), მეორე — გაიოზ ცეცხლაძემ (ლაგოდეხი) და მესამე — გიორგი ბურდიაშვილმა (შილდა).

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ჯემალ შავერდაშვილმა და ყვარლის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს წევრებმა სიგელები და საჩუქრები გადასცეს გამარჯვებულებს. შეხვედრის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მსგავსი ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ჯემალ შავერდაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავს ღონისძიებებს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში დაუჭერს მხარს და წარმატებები უსურვა ახალგაზრდებს მომავალ ტურნირებში.

ალეკო ქაფიანიძე

ეს ყველაფერი ქმნის ისეთ გარემოს, სადაც შესაძლებელია ღვინის ტურიზმის კიდევ უფრო განვითარება

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ვახუშტი ბაგრატიონი

საქართველო არის უძველესი მეღვინეობის რეგიონი ევროპაში, თუ მსოფლიოში არა. ამიტომ საქართველოს, კერძოდ კახეთს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ღვინის დაბადების ადგილს ან მეღვინეობის აკვანს.

საქართველოს უხვმოსავლიანი მდელოები, მრავალი არქეოლოგის აზრით არის პირველი ადგილი, სადაც 7000 წლის წინათ დაიწყეს ყურძნის მოყვანა. ბევრი ადამიანი აგრეთვე თვლის რომ სხვა ენებზე სიტყვა ღვინის ეთიმოლოგია წარმოიშვა ქართული სიტყვა ღვინისაგან.

ქართული ღვინის მრავალი ათასწლეული ისტორიის გამო, მევენახეობის ტრადიციები ჰარმონიულად ერწყმის და განუყრელია ქვეყნის ეროვნული იდენტურობისაგან.

საქართველოს რეგიონები, სადაც განვითარებულია მეღვინეობა არის — იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი, მაგრამ მათგან ყველაზე უდიდესი და მნიშვნელოვანი არის კახეთი.

ღვინის ტური კახეთის რეგიონში საშუალებას გვაძლევს ვეწვიოთ კახეთში მდებარე ღვინის კომპანიებს, დავაგემოვნოთ მათ მიერ შემოთავაზებული ღვინო, მოვინახულოთ ადგილობრივი მაცხოვრებლები, მათი მარნები, დავათვალიეროთ ვენახები და მონაწილეობა მივიღოთ რთველში. ყოველ შემოდგომას კახეთში იმართება ღვინის ფესტივალი, რთველის დამთავრებისთანავე სტუმრებს უმასპინძლდებიან ღვინითა და ახლად მომზადებული კერძებით.

შესაძლებელია აგრეთვე დაგემოვნება ძველებური კახური ტექნოლოგიით ოჯახებში დაწურული ღვინის, რომლის მიმართაც ინტერესი დღითიდღე მატულობს. ამის დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ იუნესკომ ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

კახეთში, ღვინოს ყველა ოჯახში ამზადებენ. გლეხური წესით დამზადებული ღვინო ტოლს არ უდებს ცნობილ საფირმო ღვინოებს.

ტრადიციულად, დაკრეფილი ყურძენი გადასამუშავებლად სპეციალურ ნაგებობაში — მარანში თავსდება. დასაწურად საწნახელი გამოიყენება; მიღებული წვენი მიწაში ჩაფლულ ქვევრში ჩაედინება — იქ ღვინდება და ინახება.

ღვინის ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის გამოიყენება ტყავი-

საგან დამზადებული ტომრები — ტიკები და რუმბები. ღვინის სასმისებად სპეციალურად დამზადებული თიხის ფიალები გამოიყენება. ტრადიციულად გამოიყენება, აგრეთვე — ყანნი, თხის ან ჯიხვის რქისაგან დამზადებული სასმისი.

ღვინის მარანს ძირითადად საცხოვრებელ სახლთან ან ვენახთან აგებენ, საშენ მასალად ქვა ან აგური გამოიყენება. ვხვდებით აგრეთვე, კაპიტალურად ნაშენ მარნებს — დამუშავებული ქვისაგან აგებულს და ორნამენტებით დამშვენებულს, რომლებიც არქიტექტურულ ძეგლთა რიგს მიეკუთვნება.

მარანი, როგორც წესი საწნახელითა და ქვევრითაა აღჭურვილი. ხშირად ღვინის დაყენებას თან ერთვის მისი დაჭაშნიკებაც, რისთვისაც მარანშივე ვხვდებით სუფრის გასაშლელ ატრიბუტიკას.

ყურძენი ქვაში ნაკვეთ ან ხისაგან გამოთლილ ნავისებური ფორმის საწნახელში იწურება. მისი ძირი, საიდანაც სითხე გაედინება, შინდისა და გვიმრის წნულითაა დაფარული. გლეხი საწნახელში დგებოდა და ყურძენს ფეხით წურავდა, რასაც სიმღერები და შეძახილები სდევდა თან. ღვინის წურვის ამ ტრადიციას დღეს აღარ მისდევენ, მისი ხილვა მხოლოდ ღვინის ფესტივალებსა და თეატრალიზებულ სანახაობაზეა შესაძლებელი.

ქვევრი ღვინის დაყენებისა და შენახვისათვის გამოიყენება. იგი მზადდება თიხისაგან, რომელიც სპეციალურ წვასა და დამუშავებას გადის. ღვინის ტემპერატურის შესანარჩუნებლად, დამზადებული ქვევრი მიწაში ეფლობა; მასში ჩასხმული ყურძნის წვენი ღვინის საბოლოო დაყენებამდე ჰერმეტულად ილუქებოდა, მას მხოლოდ მორევისას და ჭაჭის მოსახდელად ხსნიდნენ. დღესდღეობით ქვევრში ღვინოს იშვიათად აყენებენ, მას მხოლოდ ღვინის შენახვის ფუნქცია აქვს;

არქეოლოგიური გათხრებისას, ქვევრის კულტურა უძველეს ფენებშია აღმოჩენილი. არსებობდა აგრეთვე ქვევრის ეკლესიისადმი შეწირვის ტრადიცია. ეკლესია — მონასტრებში დღესაც შეხვდებით ძველისძველ ქვევრებს.

საქართველოში ყურძნის კრეფას რთველი ეწოდება. რთველი, როგორც წესი, სექტემბრის ბოლოს იწყება და ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობს. კახეთში რთველი შრომის დღესასწაულია, მოსახლეობა რთველისათვის განსაკუთრებულად ემზადება. ყურძნის კრეფა დილას ადრე იწყება და გვიან საღამომდე გრძელდება. მას ამ მოვლენისადმი სპეციალურად მიძღვნილი ფოლკლორული სიმღერები სდევს თან.

ყურძნის საკრეფად დაწნული კალათა — გოდორი გამოიყენება. რთველში, მეზობლები და ნათესავები, ჩამოსული სტუმრები მონაწილეობენ; სამუშაო დღის დასასრულისთვის ხალხი სუფრასთან იყრის თავს, სადაც რთველის დღესასწაულს განსაკუთრებული მხიარულებით აღნიშნავენ.

კახეთის არცთუ ისე დიდ ტერიტორიაზე უამრავ მიკროზონას ვხვდებით: მათ შორის — ყვარლის, მანავის, წინანდლის, მუკუზანის და სხვ. კახური ღვინოების სახელწოდება, ძირითადად, ადგილის სახელწოდებიდან მომდინარეობს. საქართველოში არსებული ვაზის მრავალი ჯიშიდან, დღესდღეობით ღვინის მრეწველობაში ძირითადად რქაწითელისა და საფერავის ყურძნის ჯიშები გამოიყენება; ვაზის აბორიგენული ჯიშების ევროპულ ტექნოლოგიასთან შერწყმის შედეგად უნიკალური ღვინო მიიღება.

კახეთის ტერიტორიაზე არსებულ ღვინის ქარხნებში სპეციალურად დამთვალიერებლებისათვის მონყობილია სადეგუსტაციო დარბაზები.

ეს ყველაფერი ქმნის ისეთ გარემოს, სადაც შესაძლებელია ღვინის ტურიზმის კიდევ უფრო განვითარება.

მოამზადა **ია გიგიაშვილმა**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შეესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86